# ხობის მოამბე



№ 3 (7045)
15 თებერვალი, შაბათი
2011 წელი ფასი 50 თეთრი

## მშვიდობით გავაათმაგოთ ის, რაც ომმა და აგრესიამ დაანგრია



### ამონარიდები საქართველოს პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან

*მარტიდან, საქართველოს ყველა ოჯახი, თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმავე პრინციპით, როგორც მათ მიუვათ ელექტროენერგიის ვაუჩერი, მიიღებს 30 ლარიან სასურსათო ვაუჩერს. ეს არის ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელს ბანკში მისი განაღდებაც შეეძლება. ამჯერადაც ვაუჩერის ყველა მფლობელს ექნება საშუალება, რომ სხვა ოჯახს დაუთმოს ვაუჩერი–სახელმწიფოსგან მიღებული ეს მცირედი დახმარება სხვა, უფრო გაჭირვებული ადამიანის დახმარებად აქციოს.*

* * *

*ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რითაც უნდა ვებრძოლოთ სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდას, არის ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარება. ჩვენი სოფლის მეურნეობა რომ იმაზე განვითარებული იყოს, ვიდრე არის ახლა, უფრო მეტად რომ ვაწარმოებდეთ ადგილობრივ სასურსათო პროდუქციას, საქართველო გაცილებით ძლიერი პოზიციებით შეხვდებოდა მსოფლიო ფასების ზრდას სურსათზე. ჩვენ ამისთვის მოვაგროვეთ და გამოვყოფთ 150 მილიონ ლარს.*

## 8 თებერვალი — დავით აღმაშენებლის ხსენების დღე!



„ქართველი ერის მთელი ისტორია სულიერი გზაა ეგვიპტედან აღქმული მიწისაკენ. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ჩვენზედ განცხადებული ღვთის სასწაულისა არის დავით აღმაშენებლის დროს ქართველთა დაცემული სამეფოს აღორძინება და იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერეს სახელმწიფოდ ქცევა.

მთელ ამ პროცესს შეიძლება ეწოდოს „ძლევაი საკვირველი", რადგან თექვსმეტი წლის ყმაწვილმა დავითმა ჩაიბარა ტერიტორიებდაკარგული, გაღატაკებული, მოსახლეობისაგან დაცლილი, სულიერად და მორალურად განადგურებული ქვეყანა და ღმერთმა თავისი სიდიადე სწორედ ამ ახალგაზრდა მეფის საშუალებით დაუძლურებულ ერში განახორციელა და კვლავაც განაცხადა პავლე მოციქულის ნათქვამი უფლის სიტყვები: „ძალი ჩემი უძლურებისა შინა სრულ იქმნების..." (II კორინთ.12.9).

კაცთათვის შეუძლებელი, შესაძლებელია ღმერთისაგან, მაგრამ ერის განწმენდის გარეშე ეს სასწაული არ აღსრულდება. აუცილებელია მოხდეს სინერგია, ანუ უფლისა და ადამიანის ნების თანხვედრა.

საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების თანაზიარნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი!"

***საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II***

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
### ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
### ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## დადგენილება N17

ქ. ხობი 2010 წლის 20 დეკემბერი

### ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის გერბი თანახმად N1 დანართისა.
2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის დროშა თანახმად N2 დანართისა.
3. ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის გამოყენება და დაცვა განხორციელდეს „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის N363 ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილად განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.
5. „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის N363 ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნებისა და ხობის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დაცვის უზრუნველყოფა დაეკისროს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მ. ჭოხონელიძე,
საკრებულოს თავმჯდომარე.**

პოზიცია

## „დღეს მეტი ქართული საქმე კეთდება"

>>>>> 5

აფხაზეთი–ტკივილი ჩვენი

## აფხაზეთის ოკუპაცია საუკუნეს ითვლის

>>>>> 9

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

>>>>> 5



გვარიშვილობა

## მომავალი ისტორიიდან იწყება

>>>>> 8



## ვინ ხარ შენ, „დოქტორო" ვოვა?

>>>>> 4

სოფელი

## ნის_ნაქალაქევიდან დანგრეული ისტორია

>>>>> 6-7



# მშვიდობით გავამთელოთ ის, რაც ომმა და აგრესიამ დაანგრია

## ამონარიდები საქართველოს პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან



ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, მაქვს ბედნიერება, ქართველ პოლიტიკოსებს შორის ყველაზე მეტად ვიმოგზაურო არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც - საქართველოს რეგიონების ქალაქებსა და სოფლებში.

* * *

მე ათასობით ჩვენს მოქალაქესთან მაქვს შეხვედრა ზოგჯერ ტელეკამერების თანდასწრებით, უფრო ხშირად კი - მათ გარეშე.

მაქვს პატივი ყოველდღიურად, პირადად მოვუსმინო უამრავ ადამიანს საზოგადოების ყველა, ძირითადად, გაჭირვებული ფენებიდან.

ვესაუბრები, ყველა პროფესიის წარმომადგენელს, იქნება ეს სოფლის ექიმი, მასწავლებელი, აგრონომი თუ მეგზევე, ფერმერი თუ ქარხნის მუშა, მშენებელი თუ მეშახტე....

ვხვდები მათ, ვისაც პროფესია აქვთ, მაგრამ არ აქვთ შესაბამისი სამსახური და მათაც, ვისთვისაც ხანგრძლივმა უმუშევრობამ უკვე დიდი ხანია აზრი დაუკარგა ერთ დროს მიღებულ პროფესიულ ცოდნას.

ვხვდები მათ, ვინც ახლა ეუფლება პროფესიას და მათაც, ვინც უკვე მეორე ან მესამე პროფესიის ათვისებას ცდილობს, რათა უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე.

ჩემი პრეზიდენტობა ეძღვნება მათი ცხოვრების გაუმჯობესებას, მათი პრობლემების შემსუბუქებას, მათი ოჯახების და შვილების უკეთეს ხვალინდელ დღეს.

* * *

მიმდინარე თვიდან ჩვენ ვიწყებთ ელექტროენერგიის ვაუჩერების დარიგებას საქართველოს ყველა ოჯახისთვის. თითო ვაუჩერი დაფარავს 20 ლარის ელექტროენერგიის საფასურს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მცირე შეღავათია, მაგრამ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც დღეს ყველაზე მეტად ესაჭიროება დახმარება. ამასთან, ეს ვაუჩერი იძლევა საშუალებას, რომ არა მარტო სახელმწიფო დაეხმაროს საზოგადოებას, არამედ საზოგადოების წევრებიც დაეხმარონ ერთმანეთს, რადგან ვაუჩერის ყველა მფლობელს ექნება შესაძლებლობა, რომ ეს ვაუჩერი სურვილის შემთხვევაში დაუთმოს სხვას, უფრო დიდ გაჭირვებაში მყოფ ადამიანსა თუ ოჯახს.

მარტიდან, საქართველოს ყველა ოჯახი, თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმავე პრინციპით, როგორც მათ მიუვათ ელექტროენერგიის ვაუჩერი, მიიღებს 30 ლარიან სასურსათო ვაუჩერს. ეს არის ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელს ბანკში მისი განაღდებაც შეეძლება. ამჯერადაც ვაუჩერის ყველა მფლობელს ექნება საშუალება, რომ სხვა ოჯახს დაუთმოს ვაუჩერი - სახელმწიფოსგან მიღებული ეს მცირედი დახმარება სხვა, უფრო გაჭირვებული ადამიანის დახმარებად აქციოს.

* * *

ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რითაც უნდა ვებრძოლოთ სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდას, არის ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარება. ჩვენი სოფლის მეურნეობა რომ იმაზე განვითარებული იყოს, ვიდრე არის ახლა, უფრო მეტად რომ ვაწარმოებდეთ ადგილობრივ სასურსათო პროდუქციას, საქართველო გაცილებით ძლიერი პოზიციებით შეხვდებოდა მსოფლიო ფასების ზრდას სურსათზე. ჩვენ ამისთვის მოვაგროვეთ და გამოვყოფთ 150 მილიონ ლარს.

ამიტომ, ჩვენ ვიწყებთ მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მაღალმოსავლიანი ხორბლისა და სიმინდის თესლის ხელმისაწვდომობის გაზრდას ჩვენი ფერმერებისა და გლეხებისთვის.

ყველა მსურველს შეუძლია დარეგისტრირდეს პროგრამაზე და მიიღოს ხარისხიანი, მაღალმოსავლიანი თესლი, ხოლო მისი საფასური 7 თვის შემდეგ გადაიხადოს, ანუ მას შემდეგ, რაც უკვე ამოიღებს გაზრდილი მოსავლით მიღებულ შემოსავალს.

ამ პროგრამების მასშტაბურად განხორციელების შემთხვევაში საქართველო უკვე წელს გახდება სიმინდის ექსპორტიორი ქვეყანა, ხოლო 2013 წლისთვის ჩვენ 35%-მდე გავზრდით ხორბლის ადგილობრივ წარმოებას, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს ჩვენს მწარმოებლებს სოფლად და, რაც მთავარია, შეამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას მსოფლიო ფასების მერყეობაზე სიმინდსა და ხორბალზე.

* * *

ჩვენ სოფელს ვერ მივატოვებთ, სურსათის მსოფლიო ფასებზე დამოკიდებულების შესამცირებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების განვითარება. ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო, ბიზნესთან პარტნიორობის პრინციპით უფრო აქტიურად ჩაერთოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

გარდა ამისა, ჩვენ წელს 150 მილიონი ლარით ვაპირებთ სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდას. იმისათვის, რომ ჩვენ არა მხოლოდ მოკლევადიანი ღონისძიებები გავატაროთ მაღალი ინფლაციური რისკის რამდენიმეთვიანი პერიოდისთვის, არამედ შევქმნათ გრძელვადიანი, მყარი გარანტიები დარგის განვითარებისთვის და მასში სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნისთვის. უნდა გაიხსნას ახალი გადამამუშავებელი ქარხნები, განსაკუთრებით, სოფლად, უნდა ვაწარმოოთ ბევრად დიდი ასორტიმენტი.

ჩვენი პროგრამა-მინიმუმი სოფლის მეურნეობაში ასეთია: 2015 წლისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობა დღევანდელ ნიშნულთან შედარებით იქნება გაორმაგებული. ასევე გაორმაგდება სოფლის მეურნეობის ეროვნული ნაწარმის ექსპორტი და საქართველოში წარმოებული ღვინის ბოთლების რაოდენობა ავა წელიწადში 50 მილიონზე.

* * *

გარდა მსოფლიო ფასებზე დამოკიდებულების შემცირებისა, ეს საწარმოები შექმნის ათასობით ახალ სამუშაო ადგილს.

სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტს ეკონომიკის და ჩვენი ხალხის ყოფის გასაუმჯობესებლად, მათ შორის ინფლაციის სიმძიმის შესამსუბუქებლად.

* * *

განსხვავებით სხვა ეკონომიკური დარგებისაგან, ტურიზმი ყველაზე სწრაფად იძლევა შემოსავალს, ტურიზმი არის საშუალება, რომ ყველაზე მოკლე ვადებში გამოვაცოცხლოთ ეკონომიკა საქართველოს ისეთ რეგიონებში, რომლებშიც დღეს უმუშევრობა და დეპრესიაა დასადგურებული.

* * *

სწორედ ამიტომ არის საქართველოს სახელმწიფო გადასული ასეთ აქტიურ მოქმედებაზე ტურიზმის განვითარების მიმართულებით საქართველოს ტურისტულ ზონებში. აქაც ისევე, როგორც სოფლის მეურნეობაში, ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფოს აქტიური, ბიზნესთან მჭიდრო პარტნიორული, ჩართულობის შედეგად გაცილებით უფრო სწრაფად და კარგად ორგანიზებულად ხორციელდება პროგრესი.

---

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება N18**

*ქ.ხობი 2010 წლის 20 დეკემბერი*

**ქ. ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2010 წლის 6 ოქტომბრის N04-01-07/5038 წერილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელოს-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსის 2010 წლის 4 დეკემბრის N814755 წერილის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. ხობში რუსთაველის ქუჩის გადასახვევთან, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე განთავსებული ზუგდიდისა და სენაკის მხრიდან მოძრავი ავტოტრანსპორტისთვის ჭალადიდისა და ფოთის მიმართულების მაჩვენებელი საგზაო ნიშანი „5.21.2 „მიმართულებების მაჩვენებელი“ (მოძრაობის მიმართულებები მარშრუტის პუნქტებისაკენ)“ გადატანილ იქნეს კოსტავას ქუჩის მიერთებამდე.
2. ქ. ხობში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ჭალადიდი-ხორგა-ხობის საავტომობილო გზაზე განთავსებული ფოთისა და ჭალადიდის მხრიდან მოძრავი ავტოტრანსპორტისთვის ზუგდიდისა და სენაკის მიმართულების მაჩვენებელი საგზაო ნიშანი „5.21.2 „მიმართულებების მაჩვენებელი” (მოძრაობის მიმართულებები მარშრუტის პუნქტებისაკენ)“ გადატანილ იქნეს კოსტავას ქუჩის მიერთებამდე.
3. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას დადგენილების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული საგზაო ნიშნების გადატანის უზრუნველყოფა 30 დღის ვადაში.
4. ეთხოვოს შპს „ზუგდიდის სს“-ს საგზაო ნიშნების სწორად განთავსებაზე კონტროლის განხორციელება.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მ. ჭოხონელიძე**
**საკრებულოს თავმჯდომარე**

---

# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტერვიუ ტელეკომპანია „ბი–ბი-სი“-ს ეთერში



„მე მალე ჩავალ აფხაზეთში, როგორც ეპარქიის ხელმძღვანელი“ - ამის შესახებ საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ ბი-ბი-სი-ს რუსული რედაქციისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება აფხაზეთზეც და ცხინვალზეც. ამას ცნობს რუსული ეკლესიაც. 11 წელი ვიყავი მიტროპოლიტი სოხუმისა და აფხაზეთის, ამიტომ ეს ჩემთვის ახლობელი ეპარქიაა. მე კარგად ვიცნობ აფხაზ ხალხს“, – აღნიშნა პატრიარქმა.

საქართველოს პატრიარქმა 2008 წლის ომის შემდეგ გორში ჩასვლის შესახებაც ისაუბრა.

გარდა ამისა, ილია მეორემ ისაუბრა დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ მეორესთან შეხვედრაზეც.

„რთულია იყო დიდი ქვეყნის მეზობელი“, - ეს სიტყვები უთხრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა, ელისაბედ მეორემ.

„ეს იყო ძალიან თბილი შეხვედრა. მან მითხრა, რომ რთულია, იყო დიდი ქვეყნის მეზობელი. საქართველო უდიდეს პატივს სცემს მის უდიდებულესობას, დიდი ბრიტანეთის დედოფალს“, –აღნიშნა ილია მეორემ.

პატრიარქის თქმით, ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა პატარა ქვეყნებმა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, კულტურა და დიდმა სახელმწიფოებმა პატარა ქვეყნების კულტურა არ გადაყლაპონ.

ინტერვიუ დიდ ბრიტანეთში მყოფ პატრიარქთან ჟურნალისტმა ირაკლი იმნაიშვილმა ჩაწერა. მან მადლობა გადაუხადა პატრიარქს, რომ რუსულ ენაზე ინტერვიუს დათანხმდა. პატრიარქმა ეს იმით ახსნა, რომ ქართულ ენაზე „ბი-ბი-სი“ არ მაუწყებლობს.

---

# ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისია წლიურ ანგარიშს წარადგენს

ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის სახელმწიფო კომისია დღეს, ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში წლიურ ანგარიშს ოფიციალურად წარადგენს.



როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს მხარე ბრიუსელში წარადგენს ასევე ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ ინფორმაციას.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში შედიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ელენე ხოშტარია.

**„ინტერპრესნიუსი”**

---

# საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა



საქართველოსა და საუდის არაბეთის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, ელ რიადში, პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა. საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია ხელმძღვანელობდა. ქართული დელეგაცია საუდის არაბეთში ვიზიტით პირველად იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები საუდის არაბეთის სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრთან ნიზარ ბინ ობაიდ მადანისთან, მაჯლის ალ-შურას (პარლამენტის) საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან მოჰამედ ბინ საად ბინ აბდულაზიზ ალ-სალემთან, საუდის არაბეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრთან ბინ ზეინალ ალი რეზასთან, რიადის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე აბდულრაჰმან ალი-ალ-ჯერაისისთან და საუდის არაბეთის განვითარების ფონდის საუდის არაბეთის ექსპორტის პროგრამების გენერალურ დირექტორ აჰმედ ალ-რანამთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრებზე განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების საკითხები და ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განვითარების სამომავლო პერსპექტივები.

საუდის არაბეთის მხარეს ქართულმა დელეგაციამ საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმებისა და ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

**„ინტერპრესნიუსი”**

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

*2011 წლის 26 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად განხილულიქნა შემდეგი პროექტები:*

***1) „2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესყიდვის გეგმის დამტკიცების შესახებ***

*(მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე, თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა-გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.).*

***2) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-„ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ*** *(მომხსენებელი: მ.სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).*

***3) „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“*** *(მომხსენებელი: ბ. ჯიქია–საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავჯდომარე.*

*თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა- გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.*

***4) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებისათვის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.*** *(მომხსენებელი ბ. ჯიქია– საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავჯდომარე).*

*შესყიდვის წლიურ გეგმას ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარუდგენს შესყიდვების სააგენტოს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილიქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შემუშავებული 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის პროექტი, მასში არსებული ტექნიკური და მექანიკური ხარვეზების გათვალისწინების შემდგომ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იხელმძღვანელა, რა „საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაამტკიცა „2011 წლის ადგილობრივი შესყიდვის გეგმა“.*

*საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წინაშე მოხსენებით წარსდგა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავჯდომარე მ. სილოგავა, მან აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, ადგილობრივ თვითმმართველობას გადმოეცა ყოფილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ხობის პროფესიული სწავლების ცენტრი“ და მისი შემდგომი დაფინანსების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია შექმნას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი.*

*კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იხელმძღვანელა, რა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–„ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ.*

*საკრებულოს საფინანსო–სარევიზიო კომისიის თავჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“. საკრებულომ იხელმძღვანელა „ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონით და მიიღო გადაწყვეტილება „ ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე წარმოდგენილი დანართების შესაბამისად.*

*საქართველოს კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესული ცვლილებების შესაბამისად 2010 წლის 1 დეკემბრიდან საბიუჯეტო სახსრებით სახელმწიფო შესყიდვები 5000 ლარს ზემოთ ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული შესყიდვის მეშვეობით. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მიერ კვების პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულიქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. თუმცა საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქტებზე ფასების მკვეთრმა ზრდამ შეუძლებელი გახადა ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხის მომხსენებელმა საფინანსო–სარევიზიო კომისიის თავჯდომარემ ბ. ჯიქიამ ხაზი გაუსვა სკოლამდელი დაწესებულების შეუფერხებლივი ფუნქციონირებისათვის შესყიდვის განხორციელების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ შექმნილი სიტუაციის დროს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა საშუალებას, რომ შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.*

*საფინანსო-სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფიძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებისათვის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე 20 დღის ვადით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.*

*ამით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დღისწესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობა დაამთავრა.*



*ვისარგებლეთ, შემთხვევით და ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საინტერესო რამოდენიმე საკითხზე შეკითხვები დავუსვით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ* ***ბორის ჯიქიას.***

**ბატონო ბორის, 2010 წელი ისტორიის კუთვნილება გახდა და როგორც იტყვიან, დამთავრდა კიდევ ერთი საბიუჯეტო წელიწადი, რას გვეტყოდით ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბუჯეტის შესრულების მაჩვენებელზე, სრულად დაფინანსდა თუ არა ბიუჯეტით გათვალისწინებული საკითხები?**

–2010 წლის საბიუჯეტო წელი საკმაოდ წარმატებული იყო ხობის მუნიციპალიტეტისათვის. დაგეგმილი საბიუჯეტო პარამეტრები 2007 წლის საბიუჯეტო წლის შემდეგ პირველად შესრულდა. ბიუჯეტში მობილიზებულიქნა 8877,6 ათასი ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 8708,5 ათასი ლარისა, ანუ დაგეგმილზე 77,9 ათასი ლარით მეტი. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებები და პროგრამები ძირითადად განხორციელდა, ცალკეული გამონაკლისების გარდა, თუმცა ეს შეუსრულებული ღონისძიებები მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯებში არის გათვალისწინებული.

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გასული წლის ბოლოს დაამტკიცა ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტი, თქვენ როგორც საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავჯდომარე, როგორ შეაფასებდით დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტს, როგორია მისი საპროგნოზო მაჩვენებლები გასული წლის ბიუჯეტთან შედარებით, რაა მისი პრიორიტეტები?**

–2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2010 წლის 31 დეკემბერს და ახალ წელს მუნიციპალიტეტი დამტკიცებული ბიუჯეტით შეხვდა, რაც უკვე ტრადიციადაა ქცეული. მართალია, საბიუჯეტო შემოსავლები დაიგეგმა 5861,9 ათასი ლარით, რაც ბევრად ნაკლებია წინა წლებთან შედარებით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ( თუ არ ჩავთვლით ტრანსფერს ცენტრალური ბიუჯეტიდან დელეგირებულ უფლებამოსილების შესასრულებლად 180 ათას ლარს) არის საკუთარი შემოსავლები. უახლოეს საკრებულოს სხდომაზე იგეგმება ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, კერძოდ უნდა აისახოს შემოსავლებში და შესაბამისად ხარჯებში 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი 378 ათასი ლარი. მთავრობის განკარგულებით მიმდინარე წელსაც გაგრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობას მიიღებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოფლის მოსახლეობა, ვინაიდან მათ მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებისდა მიხედვით იქნება განხორციელებული სხვადასხვა სახის სამუშაოები. გარდა ამისა, მთავრობის მიერ ამ ეტაპზე სხვადასხვა ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილია 500 ათასი ლარი, ასე, რომ მოსალოდნელია ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა. რაც შეეხება ბიუჯეტის პრიორიტეტებს, პრიორიტეტად კვლავ რჩება სოციალური პროგრამები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, გზებისა და ხიდების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

**ბატონო ბორის, 2011 წლის 26 იანვრიდან ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში გაიზარდა მომსახურების ფასები, კერძოდ, ქალაქში ერთ ბავშვზე 25 ლარი, სოფლებში–20 ლარი, რასაც მოსახლეობის მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. რათქმაუნდა, აღნიშნულს ექნებოდა თავისი წინაპირობები. ხომ ვერ განუმარტავდით მოსახლეობას, თუ რამ გამოიწვია მომსახურების ფასების ზრდა?**

–2010 წელს სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა სულ 1156,7 ათას ლარს, მათ შორის პირდაპირი ხარჯები 1024,7 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდა (კაპიტალური რემონტი) 132 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების 16% შეადგენდა, ანუ ფაქტიურად 1/6-ს. მათ შორის მშობლის შენატანი (ერთ ბავშვზე 6 ლარი) შეადგენდა მხოლოდ 56,4 ათას ლარს, ანუ გაერთიანების მთლიანი ბიუჯეტის 4,9 % და აღსანიშნავია, რომ ესეც ვერ შესრულდა. ამჟამად როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 2010 წელთან შედარებით, 2011 წლის ბიუჯეტის სასტარტო მაჩვენებლები ბევრად ნაკლებია. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ საკრებულოს დევიზი იყო და დღესაც რჩება,–არცერთი სოფელი სკოლამდელი დაწესებულების გარეშე, მაგრამ, მთელ რიგ დაწესებულებებში ბავშვთა კონტიგენტი ბევრად ნაკლებია, აუცილებელ მინიმუმთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცდილობთ და ვაკეთებთ შესაძლებლობების მაქსიმუმს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმედს ვიტოვებ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები იქნება კანონშესაბამისი და ამავდროულად მოსახლეობისათვის მისაღები.

**გასული წლის ბოლოდან, როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო მომსახურების საგნებზე, აღნიშნული ხომ არ გამოიწვევს საბავშვო ბაღებში მომსახურების ფასების კიდევ უფრო ზრდას და ხომ არ იგეგმება დამატებითი შეღავათების დაწესება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის?**

–რაც შეეხება ფასების ზრდის ტენდენციას, იგი ქვეყანაში არსებობს და მისი უარყოფა შეუძლებელია, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების დაწესება, ნაწილობრივ უკვე გათვალისწინებულია, დღეის მდგომარეობით დაგეგმილი 965 აღსაზრდელიდან, გადასახადის გადახდისაგან მთლიანად და ნაწილობრივ განთავისუფლდება 400 აღსაზრდელი. მათი რაოდენობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

**ბატონო ბორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვები 5000 ლარს ზევით განახორციელონ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული ცვლილება შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთ ანტიკორუფციულ ნაბიჯად, თუმცა საგრძნობლად გაიზარდა შესყიდვის პროცედურების ხანგრძლივობა და სირთულე. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ცვლილებებს, აუღეს თუარა მას ალღო მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და გაუწევს, თუ არა მონიტორინგს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო განხორციელებულ შესყიდვებს?**

–„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, 2010 წლის 1 დეკემბრიდან 5000 ლარზე ზემოთ უკვე ხორციელდება ელექტრონული შესყიდვები, რაც უდაოდ მისასალმებელი და წინ გადადგმული ნაბიჯია. საზოგადოება თავიდან ყოველგვარ ახალს სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ განვლილმა ორმა თვემ გვიჩვენა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები ყოველგვარი პანიკის გარეშე შეხვდნენ ამ სიახლეს. უკვე გამოცხადდა რამოდენიმე ტენდერი და შესაბამისად გამოვლინდა გამარჯვებულებიც. თუმცა ფასების არასტაბილურობამ რამოდენიმე ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის საშუალება საბიუჯეტო ორგანიზაციებს ვერ მისცა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. რაც შეეხება შესყიდვის პროცედურების ხანგრძლივობას, ეს თანხის რაოდენობაზეა დამოკიდებული, თუმცა, ძირითადად, ამ პროცესისათვის 3-5 დღე სავსებით საკმარისია. ასე, რომ ეს ცვლილებები დროული და აუცილებელი იყო. რაც შეეხება ჩატარებული ელექტრონული ტენდერების მონიტორინგს, საკრებულო იმოქმედებს მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

**საუბარი ჩაიწერა**
**ნინო გერგაია**

---

## საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომა

2011 წლის 26 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომა. დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო 4 საკითხის განხილვა. ფრაქციის სხდომაზე საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა წარმოადგინეს კომისიის სხდომებზე მათ მიერ განხილული საკითხები, რომლებიც საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში იქნა შეტანილი. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქციის წევრებს შორის ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია თითოეულ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

## აცრების დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე დაწესდა კონტროლი.



სამეგრელო -ზემო სვანეთის ჯანდაცვის რეგიონალური ცენტრიდან ხობის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრში შემოტანილი იქნა ასაცრელი მედიკამენტების 3 თვის მარაგი. მათ შორის, ტუბერკულოზის ვაქცინა, დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, ტიდი ვაქცინა, დიტი ვაქცინა, წითელა-წითურა-ყბაყურას ვაქცინა, 5 კომპონენტიანი ჰიბ ვაქცინა. ასაცრელი მედიკამენტები მოთხოვნის შესაბამისად გადანაწილდა მუნიციპალიტეტის საექიმო ამბულატორიებზე. აცრების დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე დაწესებულია მონიტორინგი.

## ხობელი მოჭადრაკის წარმატება



3-6 თებერვალს ქალაქ ფოთში გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის. სადაც, ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა მარიამ ჭაჭიამ (მწვრთნელი ი. გეთია) პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებით ხობელ მოჭადრაკეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევა.

## დასრულდა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ინდივიდუალური გამრიცხველიანება

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალი ხობის მუნიციპალიტეტში ევროპული ტიპის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებას ახორციელებს. ამ დროისათვის დასრულდა სოფელ ნოჯიხევის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟდა 641 აბონენტს, შეიცვალა 696 ცალი ძველი ხის ბოძი ახალი რკინა-ბეტონის ბოძებით, ხოლო ძველი ელექტრო სადენები შეიცვალა30 კილომეტრამდე სიგრძის ახალი სადენით.

## პერსონა—ხობის საპატიო მოქალაქე

# ვინ ხარ შენ, „დოქტორო“ ვოვა?

ვოვა (ვლადიმერ) ქანთარია ყველა ხობელისთვის საყვარელი და პატივდებული პიროვნება გახლავთ. იგი ყოველმხრივ მისაბაძია, მით უფრო, როგორც პროფესიონალი. ამასთან, რაოდენ საამაყო აქვს, რომ იგი სასიქადულო ქართველი ქალის, ხუთი შვილის დედის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, სახალხო მასწავლებლის წარჩინებულის, ღირსების ორდენის კავალერის თამარ ჩაგვავასა და ხობში პატიოსნებითა და თავისი საქმის სიყვარულით გამორჩეული, კეთილშობილი ადამიანის ჟორჟი ქანთარიას ნაშიერია. მის მრავალრიცხოვან ოჯახში მასსავით მშვენიერი ადამიანები აღიზარდნენ: სვეტლანა (ექიმი—ბიოლოგია), ნაირა (თერაპევტი), ავთანდილი (ზოოტექნიკოსი) და ტარიელი (ინჟინერი).

ქანთარიების ოჯახში მედიცინისადმი პატივისცემა და ტრფიალი ბაბუასაგან ვლადიმერ ქანთარიასაგან დაჰყვათ. ვოვას მამის ძმა შოთაც ექიმი გახლდათ, ექიმები არიან მისი ბიძაშვილები მანანა და ნანი ქანთარიები. ოჯახში ტრადიცია გრძელდება, ვოვას მეუღლე კლარა ქირია ექიმი-გინეკოლოგია, ალბათ მათი პირმშო ანიც ექიმი გახდება, ისეთივე კარგი სპეციალისტი, როგორიც მშობლები არიან.

ჩვენს რეგიონში, სადაც არ უნდა წახვიდეთ და რომელ ექიმს არ უნდა კითხოთ ვოვაზე, ყველა ერთსა და იგივეს გეტყვით: არაჩვეულებრივი ადამიანი, შესანიშნავი სპეციალისტი, კარგი ოჯახის შვილი. ხობელების აზრს კი ნუ იტყვით, ის ხომ მათი კუმირია. ის ბევრი მისთვის საყვარელი ადამიანისათვის ჰოლივუდის ვარსკვლავი რიჩარდ გირია, მისი საყვარელი მეგობრებისათვის ბევრ რამეში ეტალონი და ხობის ნამდვილი კოლორიტი.

სკოლიდანვე მიზანმიმართული ბავშვი იყო. სწავლაში გამორჩეული. საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა. მისი მამის დედა უკრაინელი გახლდათ, ბებიას რჩევითა და მისი სიყვარულის ნიშნად ვოვამ და




ნაირამ გადაწყვიტეს სამედიცინო ინსტიტუტი კიევში დაემთავრებინათ. შემდეგ ვოვამ ჟიტომირში გაიღრმავა ინსტიტუტში მიღებული ცოდნა. ერთდროს ფოთში მუშაობდა. მერე ხობში... სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი გახლდათ, შემდეგ რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი... ამჟამად ისევ თავის საქმეებსაა ჩაღრმავებული...

ექიმი, ხელმძღვანელი, მეუღლე, მამა, ოჯახი... ვრცელია მისი სამოღვაწეო ასპარეზი, წინ ახალი გზებია, ახალი საქმეები, ახალი საავდმყოფო და ახალი მიზან-ამოცანები. რაც მთავარია, არაჩვეულებრივი წარსული... უწარსულოდ კი ცხოვრება არ არსებობს, მით უფრო, უწარსულოდ გაგიჭირდება იპოვნო გზა მომავლისაკენ. ვოვასთვის წარსული მშვენიერი იყო, აწმყოც და მომავალიც ასეთივე ექნება.

ვოვა ჩვენი და გაზეთ „ხობის მოამბეს“ დიდი მეგობარია. ძალზე საინტერესოა ის, რომ იგი გაზეთის აქტიური მკითხველი და რაც მთავარია, ჩვენს გაზეთში რუბრიკას „მედიცინა“ ხელძღვანელობს.

ვოვა არა მარტო ექიმია, არამედ რაიონის ცხოვრებაში ძალზე აქტიურადაა ჩართული. გახლდათ რაიონის რჩეული, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. მან დეპუტატობის მისია უკვე ამოწურა, თუმცა თავისი პროფესიისადმი სიყვარული და ხობელთა, მით უფრო, ავადმყოფთა უანგაროდ მომსახურება, არასოდეს ავიწყდება...

ამასწინათ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით ხობის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის და ხალხის მადლიერებისათვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ვოვასთან მთელი ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა მაკავშირებს, მით უფრო, იგი ჩემთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანის გოგი ბუკიას გამორჩეული და საყვარელი ადამიანი გახლდათ, კარგი ძმა და საუკეთესო მეგობარი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დაბადებიდან 60 წლისთავიც აღნიშნა. ჩემი დიდი სურვილია, იყოს მუდამ ჯანმრთელად და ისე ბედნიერად, რომ სხვისთვის სიკეთის კეთება კვლავაც შეძლოს.

მართალია მის პიროვნებას ყველა ხობელი ძალიან კარგად იცნობს, მაგრამ უფრო რომ ჩაწვდეს ვოვას ბუნებას, იცოდეს მისი სამომავლო გეგმები, მიზნები, მას რამოდენიმე კითხვით მივმართე. გავიცნოთ ვოვა სხვა ამპლუაშიც:

***ვოვა, მიზანმიმართული ბავშვი იყავით?***

–მიზანმიმართული ბავშვი მართლა ვიყავი. დავისახე და გავხდი ექიმი. კარგად ვსწავლობდი. სკოლა ვერცხლის მედალზე დავამთავრე. ბავშვობიდანვე მიყვარდა კითხვა. მხატვრული ლიტერატურის პარალელურად ვეცნობოდი სამედიცინო წიგნებს. ძალიან მაინტერესებდა ექიმობა, მიზანსწრაფული ამ მიმართებით უფრო ვიყავი. ექიმობისადმი სიყვარული და პატივისცემის გრძნობა ბაბუაჩემის პროფესიისადმი სიყვარულმა გადამაწყვეტინა. ეს გრძნობა, სწორედ ჯერ კიდევ პატარას გამიჩნდა და მისი მიმბაძველობით გავხდი ექიმი.

***რა როლი მიუძღვით მშობლებს თქვენს ცხოვრებაში?***

–როგორც ყველა მშობელს, ჩემს მშობლებს განსაკუთრებული როლი მიუძღვით ჩემს ცხოვრებაში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ. მშობლები შესაძლებლობისდაგვარად არაფერს გვაკლებდნენ მე და ჩემს და–ძმებს. მართალია, ფუფუნებაში არ გავზრდილვართ, მაგრამ მათ ყველაზე კარგი რამ–სამშობლოს სიყვარული, კაცთმოყვარეობა, პროფესიისა და მეგობრებისადმი სიყვარული და სტუმართმოყვარეობის დიდი გრძნობა ჩაგვისახეს. სწორედ ბაბუას პროფესიისადმი დიდმა სიყვარულმა და მოწიწებამ წამაქეზა ექიმი გამხდარვიყავი. ბაბუა–ვლადიმერ ქანთარია ჩვენს რაიონში პირველი დიპლომირებული ექიმი გახლდათ, რომელსაც სამედიცინო განათლება კიევში ჰქონდა მიღებული. 40-იან წლებში სამხედრო ძალებში გამწვევ კომისიასაც ხელმძღვანელობდა. როგორც ექიმი, ის ბრწყინვალე სპეციალისტი და კარგი ადამიანი ყოფილა თურმე.

ჩემს ექიმად და კარგ ადამიანად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი დედაჩემს–თამარ ჩაგვავას მიუძღვის, რომელსაც ძალიან უყვარდა ექიმის პროფესია. მშობლების უარის გამო ექიმობას ვერ დაეუფლა (ერთადერთი შვილი შორს გასამგზავრებლად ვერ გაიმეტეს), რასაც მთელი ცხოვრება ნანობდა, თუმცა შესანიშნავი ბიოლოგი გახლდათ.

დედაჩემმა თავად თუ არა, სამშობლოს სამი ექიმი შვილი მაინც გაუზარდა.

***სტუდენტობის წლებზე ნოსტალგია ჰქონიათ?***

–განვლილი ცხოვრების საუკეთესო წლებად სტუდენტობის წლებს ვთვლი, რომელიც ქალაქ კიევში გავატარე. დღემდე მსდევს იქ განვლილი სტუდენტური ცხოვრების ყოველი დღე, საათი, წუთი. იქ ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. 9 წელი, რაც კიევში გავატარე, ძალზე თბილად და სათუთად მოსაგონარია. დიდი ხანია ჩემს მეორე სამშობლოში არ ვყოფილვარ, მენატრება სტუდენტობის თანატოლები, მეგობრები, კოლეგები, ბევრ მათგანთან ურთიერთობები ახლაც მაქვს, მომნატრებია ბებიაჩემის უახლოესი ადამიანები, ქალაქი. განსაკუთრებულად ხიბლიანი და ლამაზი. სტუდენტობა ძალზე საუკეთესო წლებია, მონატრებაც დიდია.

***როგორი იყო თქვენი, როგორც ექიმის პირველი ნაბიჯები, ხობში ჩამოსულს კოლეგებთან როგორი ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ?***

–პროფესიულ საქმიანობაში, მით უფრო ახალბედა ექიმისათვის პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები ჩვილი ბავშვივით შიშით იწყება, მაგრამ, როცა იგრძნობ, რომ შენს გვერდით გამოცდილი, პროფესიონალი ექიმები არიან და მით უფრო, მათი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდები, შიში გიქრება, თანდათან დამოუკიდებელი ხდები. პირველი, ასე ვთქვათ, სამედიცინო ნათლობა, ექიმად ჩამოყალიბება ქალაქ ჟიტომირში შედგა. შემდეგ მამის გარდაცვალების გამო საქართველოში წამოვედი. ვმუშაობდი ფოთში, 1977 წელს ხობის საავადმყოფო გახდა ჩემი ნავსაყუდელი. აქაური სამედიცინო კოლექტივი ჩემთვის უცხო არ იყო, ამდენად, ურთიერთობები კარგად აეწყო. ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა როგორც უფროს კოლეგებთან, ასევე თანატოლებთან. ძალიან თბილად და ტკბილად შემიძლია მოვიხსენიო როდიონ აიანადი, რუბენ ბახია, კუკური ბენიძე, ქეთო ნასარაია და ბევრი სხვა. დანარჩენ კოლეგებთან ახლაც მიწევს მუშაობა, რასაკვირველია, ყველანი ერთმანეთთან ძალზე კოლეგიალურები ვართ.

***დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვით, რთული იყო საავადმყოფოს ხელმძღვანელის როლი?***

–საავადმყოფოს მთავარ ექიმად 1995 წელს დავინიშნე. ეს ის პერიოდი გახლავთ, როდესაც ქვეყანაში განუკითხაობა სუფევდა, ომი მძვინვარებდა. იყო ყაჩაღობები, დარბევები, უშუქობა, სიცივე, უხელფასობა, არც სტიქიური უბედურება დაგვკლებია, მაგრამ პროფესიულ მოვალეობას შეძლებისდაგვარად ვახერხებდით. არასოდეს გვავიწყდებოდა ვინ ვიყავით და რა გვევალებოდა. მე და ჩემმა კოლექტივმა ურთიერთთანადგომით შევძელით ამ ყველაფრის გამკლავება.

2003 წლიდან სრულიად საქართველოში აღორძინების პერიოდი დაიწყო, ქვეყანა, მუნიციპალიტეტი კალაპოტში ჩადგა, მათ შორის ჩვენი სამსახურიც. ამის დასტურია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა, საქართველოში 100 ახალი და არსებული საავადმყოფოების რეაბილიტაცია, მათ შორისაა ჩვენი საავადმყოფო, რომლის რეაბილიტაცია ერთ თვეში დამთავრდება და ექსპლოატაციაში შევა. სამუშაოები სწრაფი ტემპით და ევროსტანდარტების დონეზე მიმდინარეობს. მადლობის მეტი რა გვეთქმის კომპანია „ბლოკ–ჯორჯიას“ ხელმძღვანელებისადმი.

რაც შეეხება ხელმძღვანელის როლს, ძალზე საპასუხისმგებლოა, რადგანაც თავად ხარ ყველაფერზე პასუხისმგებელი.

***ვოვა, დღევანდელი გადასახედიდან, თქვენს ნაბიჯებს ხომ არ ნანობთ?***

განვლილ წლებსა და გადადგმულ ნაბიჯებს კიდევაც რომ ვნანობდე, ვერაფერს შევცვლი. ვცდილობ, შეცდომები არ გავიმეორო და როგორც ცხოვრებისეული, ასვე პროფესიული გამოცდილება ყველას, ვისაც ის დასჭირდება, გავუზიარო, მით უფრო ახალგაზრდა მედიკოსებს. ერთ ჩემთვის მნიშვნელოვან, ცხოვრებისეულ მაგალითს მოგიყვანთ. ძალიან მინდოდა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვერ შევძელი. სამაგიეროდ ჩემი ხელშეწყობითა და მზრუნველობით სამმა ახალგაზრდამ შეძლო საკანდიდატო დისერტაციის დაცვა.



ორმა ქალაქ კიევში, ერთმა ქალაქ თბილისში.

***ვოვა, უპირველესად მინდა მოგილოცოთ ხობის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება–აერჩიეთ ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქედ.***

***თქვენთვის ეს ფაქტი მოულოდნელი იყო, რა განცდა დაგეუფლათ, როცა გაიგეთ?***

–ნამდვილად არ მოველოდი. ვიცი, ეს რჩეულთა ხვედრია, იმ ადამიანების ხვედრი, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ხობისა და ხობელების წინაშე. რადგანაც ასე გადაწყვიტეს, ალბათ დავიმსახურე. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, განსაკუთრებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ჭოხონელიძეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ იგორ ტყებუჩავას.

გეტყვით, რომ მთელი ჩემი ახალგაზრდობა და ეს წლები ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე ვიდექი. როგორც საავადმყოფოს მთავარი ექიმი, როგორც ექიმი–თერაპევტი. ვფიქრობ, შეცდომები არ მქონია (თუმცა უშეცდომო არავინ არის), არამგონია ამას ვინმეზე უარყოფითად უმოქმედია. როგორც იტყვიან, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული ვარ. სამსახურებრივი მოვალეობა ცუდად არასოდეს გამომიყენებია, და თუ ვინმეს რამე ეეჭვება, მათთვის მიპატიებია, და თუ მე ჩემდაუნებლიედ რამე შემეშალა, საზოგადოებამ უნდა მომიტევოს. მე მჯერა, რომ ყოველთვის ჩემს ოჯახთან ერთად ხობელების საკეთილდღეოდ გავრჯილვარ, მათი ჭირისა და ლხინის თანაზიარი ვყოფილვარ.




ასე, რომ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. თამამად ვიტყვი, ყოველთვის უანგაროდ მიშრომია.

***როგორია ვოვა ქანთარიას ერთი ჩვეულებრივი დღე?***

–ჩემი ყოველი დღე ეს არის სამსახური, ოჯახი და მეგობრებთან ურთიერთობა. თავისუფალ დროს საოჯახო საქმეებით, ტელევიზორით, პრესითა და ჩემი მეგობრებით ვარ დატვირთული. საბედნიეროდ, ბევრი მეგობარი მყავს. ბევრი, საუბედუროდ, ჩემს გვერდით არ არის, მაკლია და მტკივა უმაგათობა, ერთად მრავალი ლამაზი და ბედნიერი დღეები გვქონია, მთავარია, ისინი დღესაც აქ, ჩემთან, ჩემს გულში არიან და ამ გრძნობას ვესათუთები, ვეფერები. ეს შენ ხარ გოგი ბუკია, თამაზ ლატარია, ავთანდილ ლოლუა და მრავალი სხვა... თითოეული მათგანი ჩემი სამუდამო ტკივილია.

***თქვენი ცხოვრების თანამგზავრს როდის და სად შეხვდით?***

–ჩემი ცხოვრების არჩევანი კლარა ქირია გახლავთ. მას 1993 წელს ხობში, საავადმყოფოში შევხვდი. ის ჩემი კოლეგაა, ექიმ–გინეკოლოგი გახლავთ. ჩვენი ურთიერთობა ძალზე თბილი და მეგობრულია. მიზანი შვილის ღირსეულად აღზრდაა.

***იცლით ოჯახისათვის, თქვენი ქალიშვილის ანის მეგობარი ხართ, უსრულებთ მას ყველა სურვილს?***

–ოჯახი და ოჯახის სიყვარული ჩემთვის უპირველესია. ანი კი ჩემი ცხოვრების აზრი და მიზანია. ჯერ მხოლოდ თერთმეტი წლისაა, მაგრამ ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ყველა შესაძლო სურვილი ავუსრულო. ჩვენ ძალიან თბილი ურთიერთობა გვაქვს, შეიძლება ითქვას, ვმეგობრობთ. მე და კლარა ვცდილობთ ანი კარგ ადამიანად აღვზარდოთ, კარგი განათლება მივცეთ, მჯერა მისი ცხოვრების ყველა დღე ლამაზი და ბედნიერი, სიკეთით სავსე იქნება.

***გქონიათ იმედგაცრუება?***

–იმედგაცრუება, ყველა ადამიანის თანმდევია, არც მე ვარ გამონაკლისი...

***თქვენს ხასიათში რა არ მოგწონთ?***

–ვგრძნობ, ცუდი ხასიათის ადამიანი არ ვარ. ცუდი არავისთვის მდომებია. რა მომწონს? არ ვიცი, ჩემი შეფასება სხვებისთვის მიმინდვია. თუ ვინმე მეტყვის ჩემს უარყოფით მხარეს, ძალიან დამავალებს. იმედია, მას გამოვასწორებ.

***როგორია თქვენი სამსახურის ხვალინდელი დღე?***

–ჩემი სამსახურის ხვალინდელი დღე თავისი სფეციფიკიდან გამომდინარე, არის ოპტიმიზმით სავსე, რადგანაც ამ სფეროში პროგრესს ვხედავ. სახელმწიფოს სტრატეგია სამედიცინო ქსელის აღორძინების სფეროში, საკმაოდ დიდია.

გმადლობთ საუბრისათვის!

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

## პოზიცია

*არსებობს ათასნაირი გზა. მათ შორისაა ცხოვრების გზა, რომელიც თითოეულმა ადამიანმა უნდა გაიაროს. შეიძლება თავისი საკუთარი სავალი გზა, ზოგ რამეში კიდევაც ჰგავს რომელიმე სხვა კაცის გზას. მაგრამ, ძირითადად, იგი საკუთარია, განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. ცხოვრების გრძელ გზაზე შეიძლება დაბრკოლებებიც ბევრი შეგხვდეს, ცუდი ჟამიც ბევრჯერ დაგიდგეს, მაგრამ გქონდეს ნათელი დღეებიც, ბედნიერი პერიოდებიც.*

*ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ იგორ ტყებუჩავას დღემდე გამოვლილი სავალი გზის სქემატური მონახაზი მხოლოდ მისი მეხსიერების სამუდამო კუთვნილებაა. თუ ეს განვლილი გზა გაკვეთილად გამოსაყენებელია, სამაგიეროდ, მომავალზე ფიქრი, ახალი სავალი გზისა და მისი შენაკადი ბილიკების ძებნა და მიგნება ხობის მუნიციპალიტეტის მომავლისთვის აუცილებელი პირობა და საშუალებაა. მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, წარმატებისა და ხარვეზების განსჯით, შეცდომათა გააზრებით, გონებისა და გრძნობების შერწყმით, უმაღლესი მიზნის ნათლად წარმოდგენით და გათვალისწინებით სიარული დღეს მისთვის აქტუალურია, რადგან თვლის, რომ თუ, უფროსი თაობის სიბრძნე და გამოცდილება არ შეერწყა ახალგაზრდების ენთუზიაზმს, გაბედულებასა და ენერგიას, მაშინ ერთნი მხოლოდ სიბრძნეს დასჯერდებიან, მეორენი კი მხოლოდ გაბედულება-ენერგიას და ამით არაფერი გამოვა.*

# „დღეს მეტი ქართული საქმე კეთდება“

შტრიხები პორტრეტისათვის

***დაბადების წელი, ზოდიაქო, ხასიათი.***

–1952 წლის 8 თებერვალი. რადგან ზოდიაქოს მეკითხებით–გიპასუხებთ, ასტროლოგები ამბობენ, რომ მერწყული ვარ და იმის გამო, რომ ჩემი ზოდიაქო თურმე განაგებს სამეგობრო წრეს, მისწრაფებებს, იდეალებს. ხასიათის შტრიხებშიც მიუთითებენ რომ ამ ნიშნით დაბადებულები ორიგინალურები, მკაცრი, თავისუფლების მოყვარე, კონტაქტური, ხალისიანი და გულუხვები არიან. მეშინია, არ ავტრაბახდე. ისე, ვფიქრობ ცუდი ხასიათის ნამდვილად არა ვარ, ყოველთვის მიყვარდა იუმორის გრძნობით სავსე ადამიანები და დღესაც ასე ვარ... საერთოდ, მე ასტროლოგიაზე მეტად ჩემი თავის მჯერა, თუმცა, ხასიათის შტრიხებს ძირითადად ვეთანხმები.

***ხართ თუ არა პუნქტუალური?***

–ამ კითხვამ ერთი მონაცემი გამახსენა. მსოფლოში ყველაზე პუნქტუალურ ხალხად გერმანელებს მიიჩნევენ, მათი მაჩვენებელი პლიუს 80-ია, შემდეგ მოდიან ინგლისელები–პლიუს 30, ფრანგები–პლიუს 10. მოპირდაპირე სკალაზე იტალიელები მინუს 20 და ესპანელები მინუს 25 მაჩვენებლითაა განთავსებული. ქართველების პუნქტუალობა ჯერ ამ სკალაზე არავის აღურიცხავს. მე ჩემეული გათვლა გავუკეთე ჩემს თავს და ჩემს პირად მაჩვენებლად ვთვლი ნებისმიერ პლიუსს, ყოველგვარი ნიშნულის გარეშე. ამ ნიშნულს კონკრეტული საქმე, დავალება და ადამიანებთან ურთიერთობა მკარნახობს. უპასუხისმგებლო ნამდვილად არა ვარ, ჩემი დრო ყოველთვის გათვლილი მაქვს, ასევე, ვიცი სხვისი დროის ფასი.

***ყველაზე ცუდი რა შეიძლება მოიმოქმედოთ გაბრაზებულ გულზე?***

–დავრჩე საკუთარ თავთან მარტო და ვიფიქრო ის, რასაც ვფიქრობ.

***გქონიათ თუ არა ცხოვრებაში სახიფათო მომენტი?***

–რომ გითხრათ, ხიფათებით სავსე ცხოვრება გამომივლია, არ ვიქნები სწორი, მაგრამ ერთი შემთხვევა არასოდეს დამავიწყდება. 2005 წელია, ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტია საქართველოში. თბილისში თავისუფლების მოედანზე საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების მიმართვა და სტუმრის პატივსაცემად კონცერტი გაიმართა. ძალიან ამაღელვებელი მომენტი იყო მთელი ქვეყნისთვის და მეც ამ დადებითი ემოციით დატვირთული ვიდექი მოწვეულ სტუმარ–მასპინძელთა შორის, ამ დროს შევამჩნიე, რომ ჩვენს სიახლოვეს, რაღაც დავარდა, უსწრაფესად აიღეს ეს ნივთი. დამთავრდა ღონისძიება და აღმოჩნდა, რომ ეს სწორედ ის ასაფეთქებელი მოწყობილობა ყოფილა, რომლითაც შეერთებული შტატების პრეზიდენტზე ტერორისტული აქტი უნდა განხორციელებულიყო. უფლის მადლით ყველაფერი კარგად დამთავრდა და მთელი მსოფლიოსათვის სახიფათო ტრაგედია თავიდან იქნა აცილებული.

***ხართ თუ არა კრიტიკული?***

–მომხრე ვარ ჯანსაღი კრიტიკის, არაჩასაფრების, არამედ უკეთესი შედეგის მისაღწევად. ერთი ესპანური ეპიგრამისა არ იყოს, თუ შევნიშნე, რომ ადამიანი კარგს აკეთებს ძალიან ცუდად და ცუდს აკეთებს ძალიან კარგად, შესაბამის კრიტიკას მიიღებს.

***ბევრი ამბობს, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროთი იხიბლება, თქვენს შემთხვევაშიც ასეა?***

–იდეალური ვარიანტია–ადამიანი „მზე შინა და მზე გარეთა“, „მაგრამ თუ არჩევანია, ყოველთვის შინაგანად სუფთა და სრულყოფილ ადამიანს ვანიჭებ უპირატესობას.

***რა აზრისა ხართ თამადის ინსტიტუტზე და აგირჩევიათ თუ არა ქალი თამადად?***

–თამადის ინსტიტუტს–ქართული ფილოსოფიური სკოლის შედევრად მივიჩნევ. აქ ერთმანეთში არ უნდა აგვეროს ქართული ლხინი და ღრეობა. ნუ ჩამითვლით, რომ ქალთა ემანსიპაციის მომხრე არა ვარ, მაგრამ თამადა კაცი უნდა იყოს, თუნდაც იმისათვის, რომ ქალი უფრო აღმატებულად, დასაცავად და მოსაფერებლად გრძნობდეს თავს. ისე სადაც მიგვრძნია, რომ ქალს უნდა თამადობა, უარი არასოდეს მითქვამს.



***რაში მდგომარეობს ადამიანის ბედნიერება?***

–ბედნიერება–ინდივიდუალურია. იქ, სადაც სრულყოფილად იგრძნობ საკუთარ სულიერ სამყაროს, ბედნიერება იწყება. თუ ამ სამყაროში აზრით, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ცხოვრობ. ბედნიერება გრძელდება... და თუ შენზე ბედნიერი ნახე ვინმე და ეს გაგიხარდა, უკვე ბედნიერი ადამიანი ხარ...

***რა იწვევს ქალთა სიმცირეს პოლიტიკაში? ხართ თუ არა მომხრე, მეტი ქალი იყოს პოლიტიკაში და რას შეცვლის მათი რაოდენობის გაზრდა?***

–პოლიტიკოსობა–რთული, საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა. ქალის როლი კი საზოგადოებაში, ოჯახში ასევე რთული, საპასუხისმგებლო და საპატიოა. ამიტომ ამ ორი ფუნქიის მტვირთველობა–ერთეულთა ხვედრია. სწორედ ეს იწვევს რაოდენობრივ სიმცირეს პოლიტიკაში, რადგან აქ ურთულესი კონცენტრაციაა გასაწევი. როცა რუსთაველი მეთორმეტე საუკუნიდან შემოგვძახის „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“–ამით ქართველ მამაკაცთა თაობებს გენეტიკურად მოგვანიჭა ამ ფილოსოფიის გათავისება და რაც მეტი იქნება ასეთი ძლიერი–სუსტი სქესის წარმომადგენელი, მით უფრო ძლიერი იქნება ქვეყანა, რადგან ქართველ ქალს აქვს ერთი დიდი განმანსხვავებელი ნიშან–თვისება: ქალის, დედისა და საზოგადოებრივი ვალის თანასწორად განთავსების უნარი.

* * *

***ხობის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება და ხალხი, რამდენად მჭიდროა ეს ურთიერთკავშირი?***

–მზაობა იმისათვის, რომ თითოეული ხობელის წარმატება და პრობლემა–ხელისუფლების მიზანმიმართულ მუშაობაზეა დამოკიდებული, ჩვენ მუდმივად გვაქვს.

ხელისუფლება უნდა მივიდეს ხალხთან–ეს ძირითადი მიმართულებაა. გათვალისწინებულია მოსახლეობის წინადადებები, რასაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთობლივად განიხილავს და საბოლოო ჯამში ეს მიმართულება, ხობელთა მოთხოვნა ბალანსირდება ბიუჯეტის პროექტის შედგენისას თუ მიღების პროცესში. მოქალაქეთა მიღების დღეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ვგრძნობ, რომ ეს არის ხობის პულსაცია. ხობელი ვარ და ვიცი თუ ხობელ კაცს ძალიან არ გაუჭირდა არ შეგაწუხებს. ყოველი მოქალაქის მიერ წამოყენებული საკითხი სწორედ ხობის დღესა და ხვალეზე მეტყველებს და განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს.

***2010 წელს განხორციელებული პროექტებიდან რომელს გამოყოფდით?***

–ყველა პროექტი, რომელიც განხორციელდა კონკრეტულ დარგზე, კონკრეტულ მიმართულებაზე, კონკრეტულ პრობლემაზეა გათვლილი. საქართველოს ხელისუფლებამ ყველა სფეროს მიანიჭა ერთგვარი გრიფი- პრობლემის დაფიქსირება, გადაჭრის გზა და შესრულება, რამაც უნდა მოაწესრიგოს სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა და განავითაროს ინფრასტრუქტურა, ხობში განხორციელებულმა პროექტებმა პირველი სახეცვლილებები უკვე მოგვცა, რასაც მოსახლეობა უკვე რეალურად ხედავს. თუმცა წინ მრავალი გადასაჭრელი საკითხი და შესაბამისად ახალი პროექტი გველოდება.

***რომელი პროექტის განხორციელება ვერ მოასწარით 2010 წელს და გაგრძელდება თუ არა იგი მომავალ წელს?***

–2010 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პირველი ეტაპი დასრულდა. 2011 წლისათვის უკვე გაწერილია მეორე ეტაპის სამუშაოები. უნდა გაგრძელდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები, რაც სწორად გათვლილ პროექტებს, მდინარის, ნიადაგის თავისებურებათა გათვალისწინებას საჭიროებს. ასევე პრობლემატურ და განსახორციელებელ საკითხადაა დარჩენილი წყალმომარაგების სისტემისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების დამატებითი კეთილმოწყობისა და რეაბილიტაციის ნუსხაში შეტანილი ობიექტების საკითხი. მალე ექსპლუატაციაში შევა ახალი რეაბილიტირებული საავადმყოფო, ქალაქში დამთავრდება გაზიფიცირების სამუშაოები, გაგრძელდება ელექტროგამრიცხველიანება.

***საკმაოდ მოცულობითი ბიოგრაფია გაქვთ. მაგრამ თქვენი ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპი უკავშირდება კომუნისტური წყობის პერიოდს. მართავდით საწარმოო გაერთიანებებს, მელიორაციისა და მექანიზაციის სამმართველოს, მატერიალურ–ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს და აგროსაინჟინრო სამსახურს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. მუშაობდით მშობლიურ რაიონში. როგორია თქვენი თვალით დანახული წარსული და დღევანდელობა.***

დრო თავის სათქმელს ან თავად ამბობს, ან ადამიანები ჰყვებიან. პირველი ზოგადად ისტორიაა, მეორე კონკრეტული ადამიანის ცხოვრება. პირადად ჩემი წარსულის პროფესიული გამოცდილება ბევრ საკითხში მეხმარება, თუმცა ნოსტალგია ნამდვილად ნაკლები მაქვს, რადგან ქვეყანაში დღეს იმ დროისაგან განსხვავებით მეტი ქართული საქმე კეთდება. მინდა სიამაყით გავიმეორო საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები–„შვიდი წლის წინათ „ვარდების რევოლუციამ“ უძველესი ევროპული ერის, ჩემი საყვარელი საქართველოს ევროპული ოჯახისაკენ ახალ მოგზაურობას ჩაუყარა საფუძველი“. ამ ცვლილებებში ძირითადი, მაინც მენტალობის ცვლილებაა, რაც საუკეთესოდ წარმოჩინდა მიმდინარე რეფორმების ფონზე და თუ პატარა წვლილს მეც შევიტან ამ ცვლილებებში გამოცდილებითა და მონდომებით თავს უბედნიერეს ქართველად ჩავთვლი.

***ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და რომლის გადაწყვეტაც ვერ შესძელით დღეისათვის?***

–მინდა გითხრათ, რომ ყოველი პრობლემის მოგვარებას, თუნდაც სათქმელად უმნიშვნელოს, მნიშვნელოვან მოვლენად მივიჩნევ, რადგან დიდი და პატარა საქმეები ერთმანეთს გადაკვეთენ. მოსახლეობის უპირველესი პრობლემა სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობაა. ამ საკითხს სკულპულოზურად უნდა შევხედოთ. დასაქმება–ეს არის საზოგადოების მოთხოვნა, ამიტომაც ვთვლი, რომ აქ ერთგვარი ფორმულირებაა საჭირო, რაც გარკვეულ ეტაპსა და დროს მოითხოვს. სერიოზული პროექტების შემოსვლა გამოიწვევს ახალ დასაქმების კერას პლიუს შესრულებული სამუშაოებით მიღებული გაუმჯობესებული გარემო, რაც ხელს შეუწყობს ინვესტორების შემოდინებას. ახალი ინვესტიცია კი გეომეტრიული პროგრესიის მსგავს შედეგს მოგვცემს, რომელიც შესაბამისად მოგვცემს საშუალებას, რაც შეიძლება მეტ ხობელს მოვუხსნათ ეს პრობლემა. დასაქმების პრობლემაში-შეიძლება გარღვევა მოახდინოს აგროსექტორში განხორციელებულმა სიახლეებმა, თუ ჩვენ ჩამოვყალიბდებით, როგორც პროდუქციის შემქმნელი მხარე. შიდა პროდუქტი კი მუნიციპალიტეტის თავისუფალი მიწების პრივატიზებითა და სწორად გათვლილი ფერმერული თუ აგრო–პროექტებით უნდა გაიზარდოს. ეს ზრდა კი გააძლიერებს იმ ოჯახების ბიუჯეტს, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით იქნებიან დასაქმებულნი. ამიტომაც, დასაქმების პრობლემას მეტი ძალისხმევა სჭირდება და იმედია 2011 წელი 2010 წელზე მეტ არა მხოლოდ აგრო და საინვესტიციო პროექტებში დასაქმებული, არამედ ინტელექტუალურ სფეროში წარმატებული ხობელების წარმოჩენის წელი იქნება.

***რა გეგმები და პერსპექტივები აქვს ხობის მუნიციპალიტეტს 2011 წლისათვის?***

–მუნუციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გაწერილია ის ნუსხა, რომელშიც მოსახლეობის მოთხოვნებია გათვალისწინებული.

2011 წლის გეგმისა და პერსპექტივების მოკლე ანოტაცია ასე გამოიყურება:

2011 წელი–იწყება ანაკლია–ფოთის სატვირთო–სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა, სადაც ხობის ტერიტორიის 500 ჰაა მოქცეული.

2011 წელს გრძელდება–ფოთის ინდუსტრიული ზონის მშენებლობა, რაც ხობს სასიკეთოდ წაადგება.

2011 წელს გრძელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინებითაა შედგენილი.

2011 წელს გაგრძელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების რეაბილიტაციის პროგრამა.

2011 წელს ამოქმედდება მუნიციპალიტეტის გაზიფიცირების პროგრამა და წყალსადენი სისტემების რეაბილიტაციის პროექტი.

2011 წელს დაიწყება ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა ანაკლიის მიმართულებით. აშენდება ორი, ახალი ადმინისტრაციული შენობა.

2011 წელს განხორციელდება ერთ-ერთი უდიდესი პროექტი–ხობი-ახალი ხიბულა ჩხოროწყუს საავტომობილო გზის მშენებლობა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორია ბატონი გოდერძი ბუკია.

2011 წელი მეგრული სიმღერის საერთაშორისო ფესტივალ „სიმღერა სამეგრელოზე“ საიუბილეო წელია.

2011 წელს-ხობში დამთავრდება საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის რეზიდენციის მშენებლობა პირველი მაისის ღვთისმშობლის ხარების სახელობის სამონასტრო კომპლექსის სახით. ასე, რომ ხობელებს წინ საინტერესო წელიწადი ელის.

***საუბარი ერთი ლამაზი სტროფით დაამთავრეთ;***

„რაც გიფიქრია, გიოცნებია,
დროს ყველაფერი ანდე,
დროა შემქმნელი?
თუ დროს შენ შექმნი,
ამას გადაწყვეტს ხვალე.“

უმჯობეს, უკეთეს ხვალინდელ დღეს გისურვებთ...

**მანანა შულაია**



## ცნობილი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა სტუმრად ხობში



27 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტს სტუმრად ეწვია ცნობილი მოგზაური, პუბლიცისტი, გინესის რეკორდსმენი, იუნესკოს მსოფლიო სპორტსმენი და მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე ბატონი ჯუმბერ ლეჟავა. ამ ადამიანმა მსოფლიოს გარშემო წარმოუდგენლად დიდი და სახიფათო გზა განვლო. გამოსცა არაერთი წიგნი, მისივე რედაქტორობით გამოდის ჟურნალი „მოგზაური“, რომელიც საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათისაა და ქართულ საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის ინფორმაციას ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრიორიტეტულ თემაზე.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ მხცოვან მოგზაურს ჯანმრთელობა და საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

## სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“-ს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში

ENERGO-PRO

2011 წლის დასაწყისისთანავე ხობის მუნიციპალიტეტში სს „ენერგო-პროჯორჯიას“, დასავლეთ საქართველოს რეგიონალურმა ფილიალმა განაგრძო ელექტროგამრიცხველიანების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს მოძველებული მიწისქვეშა კომუნიკაციების გაუქმებასა და საჰაერო ელექტრო ხაზებით ჩანაცვლებას, ხის საყრდენების დემონტაჟს და რკინა–ბეტონის კონსტრუქციით შეცვლას. მოსახლეობის თანადგომით წარმატებით დამთავრდა 0,4 კვ ძაბვის ქსელის რეაბილიტაციისა და გამრიცხველიანების I ეტაპი. კომპანიის ტექნიკურმა პერსონალმა სოფელ ნოჯიხევში 30 კილომეტრამდე რადიუსში 641 აბონენტზე გათვლილი სამუშაოები და შესაბამისად აბონენტებისათვის ევროპული სტანდარტების ინდივიდუალური მრიცხველების მონტაჟი დაამთავრა. სარეაბილიტაციო პროექტი გრძელდება სოფელ გურიფულსა და პირველ ხორგაში. კომპანიის უახლოესი გეგმა შემდგომი ეტაპისათვის ითვალისწინებს ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას სოფელ პირველ მაისში, რომელიც დამთავრდება მიმდინარე წლის ივნისამდე და შემდგომ გაგრძელებულიქნება სოფელ ხეთაში.

კომპანიის მიზანია, სამუშაოები შესრულდეს უსაფრთხოდ. კომპანიის წარმომადგენლობა და ხობის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება მოუწოდებს მოსახლეობას, დაიცვან უსაფრთხოების განსაზღვრული ნორმები.

სოფელი

# ბია – ბჟალეთიდან დაწყებული ისტორია

***ყოველ ადამიანს უყვარს თავისი დაბადების ადგილი, სადაც მას აუდგამს ენა, თამამად დაუდგამს ფეხი დედამიწისთვის და გაუვლია პირველი ნაბიჯებით. მითუმეტეს, თუ მის „ოდაბადეს“ რომანტიკული წარსული აქვს და ლამაზი ლეგენდაც. საქართველოში ხომ ყოველ გორას, ყოველ ველს, ტყეს, ღელეს, მინდორს ლამაზი და საინტერესო სახელი ჰქვია. არც სოფელი ბიაა გამონაკლისი.***

**ჯელეკონა...**
**ნანაკერუ...**
**ოხვამეფერდი...**
**ონასმურე...**
**დობერა...**
**ორზე...**
**ბჟალეთი...**
**სწორედ ამ უკანასკნელიდან–ბჟალეთის გადასახედიდან იწყება სოფლის ისტორია.**
**ბჟალეთი–ძველი დასახლებული ადგილი...**
**ბჟალეთი–სოფლის ძველი ცენტრი...**
**ბჟალეთი–ძველი სალოცავის ადგილი...**
**შორეულ წარსულში აქ ყოფილა მჭიდროდ დასახლებული ადგილი.**
**...სადაც ახლა მხოლოდ ნასახლარებია.**
**...სადაც ხშირად შეხვდებით უსახლო, შემოღობილ ძველ ეზოებს.**
**...გაველურებულ ხილს.**
**...ხილიდან კი გამორჩეულად „ბია“–კომშს.**
**...იქნებ ზეპირი გადმოცემა სწორია და ამ სოფლის სახელი სწორედ „ბიამ“ შექმნა.**
**ალბათ ასეა...**
**ამ მიდამოებში განსაკუთრებულად ბევრი წყარო იყო.**
**...იყო კი არა, დღესაც არის...**
**გამჭვირვალე, ანკარა, სუფთა, როგორც შორეულ წარსულში და როგორ შეიძლება წყარო ტყის გარეშე? ტყე არაჩვეულებრივად ნაირფერი.**
**რცხილა, წიფელი, მუხა, იფანი, აკაცია.**
**ამაღელვებლად ლამაზი გაზაფხულზე, უფრო ლამაზი შემოდგომაზე.**

ბია–ცენტრი, ბია–საშონიო და ზემო ბია, სამი უბანი, რომელსაც ზოგადად სოფელი ბია აერთიანებს. მდებარეობა–ხობის მუნიციპალიტეტი, ხობისწყლის სანაპიროზე, სენაკის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე. მისი ცენტრი მდებარეობს ზღვის დონიდან 40-მეტრის სიმაღლეზე.

ქართული სამართლის ძეგლებში სოფელი ბია დასტურდება მე-18 საუკუნის დამდეგიდან. 1700 წელს დაწერილი „შეწირულობის წიგნის“ მიხედვით, აფხაზეთის კათოლიკოსს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს ბიის მცხოვრები ხოსია სიჭინავა და ხუხუ ჩიჩუა. 1733 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ „შემოწირულობის წიგნში“ კი იგივე კათალიკოსი წერს „სახობიოში, ბიას კოჩივარე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში, ბეჟან დადიანმა მოგვცა“. ამავე პერიოდში გრიგოლ კათალიკოსს ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი უბოძებია „ბიას: კოჩიორე სიჭინავა და მისი გლეხი ამაცალა ცხადაია, კიდევ ბიას–ჯვებე ბიგვავა და მისი ძმისწული მათის ცოლშვილითა“, რომელთა საეკლესიო გადასახადი წელიწადში შეადგენდა „ხუთ–ხუთი ლიღარიკი სანთელი.“

სოფელ ბიაში, კერძოდ, უთუთია იოსავას სახლში გაზრდილა მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია. მას ამ სოფლის ადგილების სახელებიც ჰქონია ჩაწერილი.

ამ სოფლის მნიშვნელოვანი ტოპონიმური სახელწოდებებია: გოხორხილი, დიდნიშია, დიდპალოტი, კიტიაშ ნოხორი, მენჯი, ნაბადა, ნაჯვარუ, ობორიანწე, ონასმურე, ონეძე, ოძილე, საბიგვა, სათუთბერიძეო, სალადუო, საშონიო, ფოქვაში, ჩეღალ, წიფურონა, გეჩეხილი, მორთელი, ნაბერიე, ნართი, ოტურე, პარტიკი, ძერწონა, ხაპია, ღარღულა, თუთურუ, მატახანა, ჩხონა, ოკოჩე.

ბიაში მარტო ძირძველი ბიელები არ სახლობენ, აქ ბერძნები და მათი ჩამომავლებიც ცხოვრობენ. ისინი საუკუნეების წინ დასახლებულან ამ ადგილას. ამაზე მეტყველებს ისტორიული მასალა, რომელიც მოცემულია აკაკი სურგულაძის ნაშრომში „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“. მასში ნათქვამია, რომ „ბერძენი კოლონისტები კომპაქტურად სახლობდნენ კოლხეთის ზღვისპირა პუნქტებში ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან. ბერძნულ სამყაროში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ფაზისისა და დიოსკურიის დასახლებებმა“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი ასეთი ჩასახლება მოხდა ბიაშიც. აქ ამ დრომდე ცხოვრობენ სამურქასოვები, აიანადები.

და მაინც, ძირძველი მოსახლეობა ნაღდი ქართული იყო, ოდნავ მეგრული, ვაჟკაცური, სამართლიანი, ამაყი...

სახლობდნენ და სახლობენ ბიაში გვარები შონია, იოსავა, თოდუა, ბიგვავა, თუთბერიძე, ღადუა.

ბრძოლაში ერთიანდებოდნენ, ლხინში, შეჯიბრებებში, თამაშებში მუდამ მეტოქეობდნენ–იოსავები და შონიები. ხან ერთის მხარეს იყო ფორტუნა, ხან მეორის. განსაკუთრებით საინტერესო იყო სანახაობა–თამაში „მალანურობა“, რომელიც მხოლოდ ამ კუთხეში იყო გავრცელებული და დამახასიათებელი.

არ ვიცი, სწორია თუ არა, მაგრამ სოფელში გამიგონია, როცა დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის შესანიშნავ რომანს „მთვარის მოატაცებას“ წერდა, უნდოდა აღეწერა „მალანურობის“ არსი. ამ მიზნით იგი გალის რაიონის სოფლებში ჩასულა, მაგრამ ცნობები ამ თამაშის შესახებ, ვერ უპოვია. ბოლოს ბატონ კონსტანტინესთან მიუყვანიათ ქალბატონი, რომელიც სოფელ ბია-დან ყოფილა იქ გათხოვილი და მას გადმოუცია მალანურობის შინაარსი მისთვის, რომელიც შემდგომში აღწერილია მის რომანში. მაინც რაში მდგომარეობს მალანურობის თამაშის შინაარსი?

ნიშანდობლივია ალბათ მალანურობის გამართვის დრო აგვისტო. ყველა სამუშაო დამთავრებულია, გარდა მოსავლის აღება–დაბინავებისა; ეს დრო შესვენების პერიოდია გლეხურ ცხოვრებაში. აგვისტოს ბოლო რიცხვებში იწყებოდა მალანურობის სადღესასწაულო ცერემონიალი. იგი აუცილებლად ტარდებოდა ზემო ბიის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ეზოში. ორგანიზებას ამ დღესასწაულს უწევდა ეკლესიის მღვდელი და სოფლის უხუცესნი. შინაარსი მალანურობისა იყო შემდეგში: სოფელი ორ ნაწილად იყოფოდა. გამყოფი იყო ღელე–ნიშია. ორივე მხარე (ნიშიას გამოღმა-გაღმელები) ირჩევდნენ ხუთ-ხუთ ახალგაზრდა ბიჭს. ამ ხუთიდან ერთ-ერთს მაინც უნდა სცოდნოდა სიმღერა და სალოცავი, რომლითაც იგი ოჯახს ლოცავდა, უსურვებდა ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, უხვმოსავლიანობას და სხვა წარმატებებს.



არჩეული ახალგაზრდები მალანურობის დაწყების დღიდან, თავიანთ უბნებში იწყებდნენ კარდაკარ შემოვლას. მათგან ერთი მღეროდა, დანარჩენები ბანს აძლევდნენ „აისა–ვაისა“-ს ძახილით. შემოვლის დაწყებიდან ხუთი დღის შემდეგ ზემო ბიის ეკლესიაში ეწყობოდა სადღესასწაულო თავშეყრა. უშუალოდ, შეჯიბრებების დაწყების წინ იმართებოდა ცეკვა, სიმღერა, თამაში, საკრავებზე დაკვრა.

ბოლოს მღვდელი ეკლესიის წინ, ეზოში დააყენებდა „მალანურებს“, ეკლესიის კარიდან 100 მ-ის სიშორეზე დადებული იყო სამი მეტრის სიგრძის ჯოხი ე.წ. „კვაკვა“, მღვდლის მიერ მიცემულ ნიშანზე შეჯიბრების მონაწილეები სირბილით წავიდოდნენ კვაკვასაკენ, იქ უკვე იმყოფებოდა ორი სანდო პირი, რომელიც აკვირდებოდა შეჯიბრების მიმდინარეობას. ორივე გუნდის წევრები კვაკვას დაიკავებდნენ საწინააღმდეგო ბოლოებით და იწყებოდა გადაწევა ხაზიდან თავიანთი მხარეზე, რომელი გუნდიც გადასწევდა კვაკვას თავის მხარეზე, გამარჯვებულიც ის იყო. გამარჯვებულის გამოცხადების შემდეგ იწყებოდა ოვაციები და საზეიმო რიტუალი.

## რუხფარაჯიანები

...მათ უსაზღვროდ უყვარდათ თანატოლები და თავიანთი ოდაბადე, როგორც კი დროს იშოვიდნენ, საცალფეხო ბილიკით ჩაუყვებოდნენ სერს და ხობისწყლის ნაპირზე მოიკალათებდნენ. ეხუმრებოდნენ, ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, გვიან ღამით დაიშლებოდნენ.

ასე გადიოდა დრო. მეხის გავარდნას ჰგავდა 1941 წლის 22 ივნისის დილა. მოხუცებს, რომლებსაც კარგად ახსოვდათ პირველი მსოფლიო ომი, ხმა ჩავარდნოდათ, სიტყვა დაჰკარგვოდათ, ქალები იცრემლებოდნენ.

ახალგაზრდობა...

ახალგაზრდობა თითქოს ერთ ღამეში დასერიოზულდა,

დადინჯდა,

დავაჟკაცდა...

ფოლადი ჩაუდგათ ხმაში...

პირტიტველა ჩვენი ბიჭები...

ვინ იცის რა ელით. საით წაიყვანს ომის მატარებელი... როგორ დაბრუნდებიან უკან... დაბრუნდებიან კი...

დაბრუნდება კი ყველა... ხანძარმოდებულია ქვეყანა... ეს ხანძარი ჩაყლაპვას უნდომებს ყველას...

რუხი ფარაჯა ჩაიცვა ქვეყანამ–გლეხმა, მუშამ, ინტელიგენტმა, დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა.

1418 დღე გრძელდებოდა დიდი ომი.

1418 დღე გრძელდებოდა „სისხლის წვიმა“.

ამ წმიდათაწმიდა დაღვრილ სისხლს, ბიელთა სისხლიც შეუერთდა.

166 ვაჟკაცი გააცილა სოფელმა ომში.

166 ახალგაზრდის სიცოცხლე დაიდო ბედისწერის სასწორზე.

166 ოჯახი, გულგაწვრილებული, შიშით, ყოველდღე ელოდა უბედურების მაუწყებელ ბარათს, ოდნავი იმედი თუ კიაფობდა მათ გულში, რამეთუ იმედი ყველაზე ბოლოს კვდება.

166 ანთებული სანთლიდან 89 სანთელი ჩაუქრა სოფელს.

გამოჩნდნენ ძაძით მოსილი დედები, შუბლშეჭმუხნილი, კუშტი გამოხედვით–მამები, ისედაც ჩამკვდარი სოფელი, მთლად მიყუჩდა.

...ბოლო ბარათი ნოე პეტრეს ძე კვაშილავამ 1942 წელს გამოგზავნა ქ. სარატოვიდან. 22 წლის ექიმ ჭაბუკს, დაბრუნების იმედს, თითქოს ბზარი შეეპარა. 1943 წლის 10 ივლისითაა დათარიღებული ვლადიმერ ბესარიონის ძე იოსავას უკანასკნელი ბარათი. „მინდა, რომ მტერთა მეც ვიყო რისხვა“, წერდა იგი დედას. ორი ვაჟიშვილი გააგზავნა გრიგოლ იოსავამ ფრონტზე აკაკი და კაპიტონი. აკაკის ბოლო წერილი 1942 წელს იყო გამოგზავნილი „ვარ მძიმედ დაჭრილი, მკლავში და ფეხში“, ეს იყო და ეს. ქერჩში იბრძოდა და იქვე უგზო-უკვლოდ დაკარგა კონსტანტინე ივანეს ძე ტორჩინავა.

ქერჩს, ხომ ქართველთა სასაფლაოს უწოდებდნენ. აქ დაიღუპნენ გამორჩეული ბიელი ახალგაზრდები–კაპიტონ იოსავა, ილიკო შონია, კაპიტონ შონია, ესტატე თუთბერიძე, ვლადიმერ ღადუა, ვალერიან იოსავა.

...თვლა არ ჰქონდა სამკუთხა ფრონტულ ბარათებს, დიდი იყო მათი რწმენა, შემართება, რომლებმაც თავი გასწირეს თავიანთი მოვალეობის ღრმა შეგრძნებით.

„დიდება მათ, ვინც ოცის წავიდა და სამუდამოდ ოცისა დარჩა!“

## განათლება

სოფლის ისტორიაში, მის ცხოვრებაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია განათლებას, როგორც საძირკველს, საზოგადოებრივი ცხოვრებისა. განათლებაზე და ინტელექტზეა დამოკიდებული სოფლის წინსვლა, მისი ზნეობრივი სიჯანსაღე.

სოფელ ბიაში, სწავლა–აღზრდის ისტორიის საწყისად შიძლება ჩაითვალოს 1897 წელი. სწორედ ეს თარიღია აღნიშნული მიხა ტაუს ძე იოსავას ოჯახში შემონახულ ხელნაწერებზე.

როგორც ცნობილია სწორედ, ამ წელს გახსნილა პირველი 2 წლიანი სკოლა ზემო ბიაში, რომლის მასწავლებლად ყოფილა მღვდელი პროხორე იოსავა.

ყოველ დროში, იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც პირად საქმეზე მეტად, ერის, საკუთარი ხალხის მომავლის საკითხი რომ აღელვებდათ. ამ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება სოლომონ პეპუს ძე იოსავა.

სოლომონ იოსავა ბიაში დაბადებული და აღზრდილი პიროვნება იყო. მან განათლება შვეიცარიაში მიიღო, აგრონომის სპეციალობით. პირადი ნაცნობობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. მისი სტატიები იბეჭდებოდა იმდროინდელ გაზეთ „ივერიაში“, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

სოლომონ იოსავას ჰქონია მამული, კეთილმოწყობილი ეზო, რომლის სიღრმეშიც იდგა საკმაოდ დიდი ოდა სახლი, ამბობენ რომ პირველად ხობის რაიონში მან ჩამოიტანა ჩაის კულტურა და გააშენა იგი თავის ეზოში.

სწორედ ამ პიროვნებამ სოლომონ იოსავამ ბიის 2 კლასიან შრომით სკოლას, ოთხი წლის სწავლების ვადით, საკუთარ სახლში გამოუყო ორი ოთახი უსასყიდლოდ. ამ პირველი სკოლის გამგე ყოფილა ქუთაისიდან მოწვეული მასწავლებელი ვანო ცხადაძე. სკოლის გახსნის მესამე წელს, მოსწავლეთა სიმრავლის გამო, დღის წესრიგში დადგა სკოლის შენობის გაფართოების საკითხი, სკოლისათვის შენობა დაუქირავებიათ ივლონი ტუმუიას ძე შონიასაგან.

ამავე დროს, სოფლის მოწინავე ადამიანების ინიციატივით, დაწყებულა 12 ოთახიანი სკოლის შენობის აგება, რომელიც შეწყვეტილა 1905 წელს, ქვეყანაში მიმდინარე არეულობის გამო. 1914 წელს, სკოლისათვის შენობა უყიდიათ ფილუ შონიასაგან, იგი დაუდგამთ დროებით შეჩერებული მშენებლობის გვერდით. ამ სკოლაში 1928 წლამდე გამგედ მუშაობდნენ–ვანო ცხადაძე, პაჭუ ჯორჯიკია, ტრიფონ კოდუა, პლატონ ნადარაია.

1928 წლიდან სკოლის გამგედ დაინიშნა კოტე სოლომონის ძე ბახია, რომელმაც შემოაკავა სკოლის ეზო, სკოლის ირგვლივ წიწვიანი ხეები დარგო, გააშენა ჩაის კულტურა, მოაწყო საცდელი ნაკვეთი, ჩამოაყალიბა მოსწავლეთა თვითმოქმედი წრეები, სკოლის ხედის გაშენების საქმეში აქტიურად მონაწილეობდა რაიონის მაშინდელი უშიშროების უფროსი აქვსენტი პავლეს ძე შონია.

1930 წელს კოტე ბახია გადაიყვანეს ხობის საბაზო სკოლის გამგედ, ხოლო ბიის სკოლის გამგედ დანიშნეს გრიგოლ ისიდორეს ძე შონია.

...ბატონი გრიგოლ შონია

...კაცი–მუდამ ღიმილიანი, ნათელი სახით.

...კაცი–სიცოცხლითა და სიხალისით სავსე.

...კაცი–სამართლიანი, მაგრამ კეთილი და მიმტევებელი.

კაცი–ღმერთისგან ჭეშმარიტ მასწავლებლად დაბადებული.

1940 წელს, ბატონი გრიგოლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბიის შვიდწლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად. იცვლებოდა მაწავლებელთა თაობები. მოდიოდნენ ახალი ენერგიით და

>>>>> 7

სოფელი

# ბია_ნქალეთიდან დაწყებული ისტორია

6 <<<<<
ენთუზიაზმით აღვსილნი. კარგად ახსოვთ ბიელებს მასწავლებლები: ნესტორ მაკალათია, შალვა ჯობავა, ნინა შონია, გალაქტიონ შეკლაშვილი, ჟორჟი სანაია, შალვა ახალაია, ამირან კვაშილავა, აბილო იოსავა, ჭიჭიკო კობახიძე, პროკოპ ალექსანდრია, აბელ ტორჩინავა, ლეო მეუნარგია, ჟენია სულაქველიძე, თამარ ჩაგვავა, მელიტონ ჯანჯღავა, ოთარ სახეიშვილი.

ბატონი გრიგოლ შონია იყო ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი, არჩეული იყო რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ, მონაწილეობდა 1924 წლის 28 აგვისტოს შეიარაღებულ აჯანყებაში. იგი იბრძოდა საქართველოს თავისუფლებისათვის, იყო აჯანყების ხობის კომიტეტის თავმჯდომარე. აჯანყების დამარცხების შემდეგ ბატონი გრიგოლი დააპატიმრეს და ცნობილ მეტეხის ციხეში გადაიყვანეს, საიდანაც 1927 წელს გაათავისუფლეს საკავშირო ამნისტიის საფუძველზე. მისი მუშაობის პერიოდში, იყვნენ წარმატებული მოსწავლეები–ვალერიან ყირიმის ძე იოსავა, ვარლამ ღადუა, კაპიტონ, რომანოზ, პართენ, საშა შონიები, ტატიანა შენგელია, ვენერა ცხომარია, თამარ ქანთარია, ექსევი იოსავა... ბატონ გრიგოლ შონიას დამსახურების გამო, ბიის საჯარო სკოლას მისი სახელი მიენიჭა სკოლის 100 წლისთავის თარიღთან დაკავშირებით.

სხვადასხვა დროს სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ ქალბატონი მარო ჯორბენაძე, ბატონები აკაკი ლიპარტია, დავით ახალაია, პანტელეიმონ ჭოჭუა, ჯონგულ ჯორჯიკია, ლიონ სიჭინავა, ნუნუ შოთაძე, შალერი ლაშხია, ელშუქ ტყებუჩავა, მანანა შულაია.

როდესაც სკოლაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი ტექნიკური მუშაკის ერთგული მუშაობა. ბატონი კაშენ ცხომარია, რომელმაც თითქმის სანახევროდ ააშენა სკოლა, ბატონი შაქრო შონია, რომელმაც თავისი ჯანმრთელობა სამსახურს შეალია, ბატონი გიგიშა იოსავა, რომელიც სკოლის ეზოს, მის ყოველ ნივთს, საკუთარივით ელოლიავებოდა და უვლიდა.

ბიის საშუალო სკოლამ დაახლოებით ორი ათასამდე კურსდამთავრებული გამოუშვა, მათ შორის იყვნენ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები– ნათელა იოსავა, გრიგოლ შონია, თამარ იოსავა, ლიანა შონია, ნუგზარ თუთბერიძე, ჟორა იოსავა, გენო ჭითაშვილი, ნელი იოსავა, ეთერ ღადუა, ლილი აიანადი, მაყვალა მატკავა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ პედაგოგთა შემართება, რომლებსაც მოუხდათ მუშაობა ბოლო წლებში, სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ქვეყანაში გამეფებული იყო არეულობა...

უშუქობა...

უგზოობა...

უხელფასობა...

მასწავლებელმა აჩვენა რომ ის განათლებულია, მომთმენია, მზრუნველია სხვისი შვილების მიმართ, და, რომ ის სულით ძლიერია.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ისინი, ჩემი თანამოაზრეები ლია ბებურია (სასწავლო ნაწილის გამგე), მილიეტა ხარბედია (ორგანიზატორი), მასწავლებლები–ნუნუ შოთაძე, ელისო და ელზა იოსავები, თინა ღვინჯილია, გულჩორა ფარცვანია, ინგა ჭითაშვილი, გურანდა კომახიძე, გოჩა შონია, გულნაზ ღადუა, ლელა ქვარცხავა, ლეილა იოსავა, ნინო ტურავა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუსიკალური წრის ხელმძღვანელი მზია გირგვლიანი, რომელიც ზამთრის ცივ დღეებში ბავშვებს მეგრულ ფოლკლორს აზიარებდა, ბიბლიოთეკარი ალზირა იოსავა, რომელსაც ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და თითოეულ წიგნს საკუთარივით უვლიდა. ამ ძნელ


სკოლის 100 წლის იუბილეზე

პერიოდში, სკოლის პედკოლექტივს მუდამ გვერდით ედგა რაიონის განათლების განყოფილება, მისი ხელმძღვანელის ქალბატონ რალა ჩემიას მეთაურობით. ჩვენ ერთად, ამ პერიოდებში, ძალიან „ცხელი“ დღეები გამოგვივლია.

ამჟამად სკოლის დირექტორია ქალბატონი ნანა თირქია, სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი ლია ბებურია, მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 80-ს, მასწავლებელთა რაოდენობა–22-ს.

### საბავშვო ბაღი

ბიაში პირველი ბაღი ყოფილა ფასიანი. შემდგომში სახელმწიფომ გახსნა ბაგა–ბაღი. მისი მთავარი სპეციალისტია ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი მზისა ნადარაია.

გასულ წლებში ბაღს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, შეძენილიქნა ახალი ინვეტარი, სათამაშოები, კეთილმოეწყო სამზარეულო, გამდიდრდა მისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა.

ბაღში ხშირად ტარდება სხვადასხვა შემეცნებით–გასართობი სახის ღონისძიებები.

### ჯანდაცვა

ბიაში ჯანდაცვის საკითხებს, ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. ამ სოფელში არსებობდა საექიმო ამბულატორია, სადაც ღირსეული ადამიანები მუშაობდნენ. ბიელები განსაკუთრებული სიყვარულით იხსენიებენ ექიმს ამირან ალექსანდრიას, რომელიც ყოველგვარი ელექტრო და რენტგენოკაბინეტის და გამოკვლევების გარეშე ზუსტ დიაგნოზსს ადგენდა. ასევე სიყვარულით სარგებლობდა ჩამოსული ექიმი ნანა დვალიშვილი. სხვადასხვა დროს ბიის ამბულატორიაში ექთნებად მუშაობდნენ: ლალი ჯიქია, თინა თოდუა, ნუნუ გირგვლიანი, ნარგიზა ჭანტურია, მიმოზა მზარელუა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დღევანდელი ექთნის მერი შონიას უანგარო და დაუზარელი მუშაობა, რომელიც არეულობის პერიოდში ყოველგვარი ხელფასისა და ანაზღაურების გარეშე ემსახურებოდა მოსახლეობას.

საქართველოში 90-იან წლებში მიმდინარე პროცესების გამო, ამბულატორიამ მუშაობა შეწყვიტა და სოფელი დარჩა ექიმის გარეშე. მოყოლებული აქედან, წლების განმავლობაში სოფლის მოსახლეობის თხოვნა იყო, სოფელს ჰყოლოდა ექიმი, ეს პრობლემა მხოლოდ ორი წელია მოგვარდა. დღეს სოფელს ჰყავს ექიმი, ქალბატონი ელისო მისაბიშვილი, რომელმაც პირველ რიგში წესრიგში მოიყვანა ავადმყოფთა მისაღები კაბინეტი, შექმნა მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, წესრიგში მოიყვანა ავადმყოფთა სტატისტიკური მონაცემები. ხშირად ნახავთ ქალბატონ ელისოს იმ ოჯახის კარებთან, რომელთა ავადმყოფებსაც თავად არ შეუძლიათ მისვლა ამბულატორიაში. მანვე, უბნების მიხედვით ჩაატარა შეხვედრები მოსახლეობასთან, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით. ბიის ყველა ოჯახში დევს ელისო მისაბიშვილის სავიზიტო ბარათი წარწერით „შეგიძლიათ მომმართოთ ნებისმიერ დროს“. რა თქმა უნდა ასეთი ადამიანი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობს სოფელში.

### კულტურა

სოფელი ბია რაიონში ერთ-ერთი იყო, რომელსაც ტრადიციულად ჰყავდა მომღერალთა გუნდი. გუნდის ხელმძღვანელებად უმუშავნიათ ბატონებს ვლადიმერ ალანიას და ჭუტული მიმინოშვილს. მათ მიერ მომზადებული მომღერლები ხშირად მონაწილეობდნენ რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში და ბევრჯერ ჯილდოებიც მოუპოვებიათ. ამ გუნდში მღეროდნენ მიშა ბიგვავა, კოსმან შონია, მამა–შვილი აკაკი და ვაჟა დოლბაძეები, ძმები ვარლამ და ბათუ იოსავები, ტანტული ალექსანდრია, დავით თუთბერიძე, მაგლონია თუთბერიძე, ლენტუშა შონია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დების კლარა და მზია გირგვლიანების როლი ფოლკლორული მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში, იმის გარდა, რომ ისინი შესანიშნავად მღეროდნენ, ჰყავდათ და დღესაც ჰყავთ ფოლკლორული ანსამბლი. არიან რესპუბლიკური ღონისძიებების ლაურეატები.

### მცირე სტატისტიკა

სოფელ ბიის ფართობი–1864,04
უბანი–3.
სახნავ სათესი მიწები-280 ჰექტარი.
მიწები სულ–393 ჰა.
აქედან კერძო მფლობელობაში ანუ პრივატიზებულია-293 ჰა.
სოფელში განთავსებული მცირე და დიდი საწარმოები:
ა) ქვის გადამამაუშავებელი სააქრო შპს „ლ.ვ.გ“.
ბ) შპს „ბოლვარი“.
სოფელში არსებული ტექნიკა:
ტრაქტორი-1,
მსუბუქი ავტმანქანა–26,
სატვირთო ავტომანქანა–1,
მიკროავტობუსი-5.
ბუნებრივი რესურსები:
ა) ინერტული მასალები (ქვა, ღორღი).
ბ) თერმული წყალი,
გ) სამკურნალო გოგირდოვანი წყალი.
მოსახლეობის საერთო რაოდენობა–757.
კომლი–251, პენსიონერთა რაოდენობა–160.
მრავალშვილიანი ოჯახები–10,
3 შვილიანი–7,
4 შვილიანი–2, .
5 შვილიანი–1.
მარტოხელა დედა–1,
საჯარო სკოლა–1,
საბავშვო ბაღი–1,
ჯანდაცვის სამსახური–1,
კულტურის სამსახური-1.

### კოლმეურნეობა

ბიაში 1928–1929 წლებში ჩამოყალიბდა სამი სასოფლო–სამეურნეო არტელი 1) ზემო ბიის კალინინის სახელობის. 2) ცენტრი– ბერიას სახელობის. 3) საშონიოს–სტალინის სახელობის. ამ დროის თავმჯდომარეები იყვნენ: აქვსენტი იოსავა, ფილუ შონია და ზემო ბიაში–ერმინე ალექსანდრია.

1932 წელს ბერიას და სტალინის №2 სასოფლო–სამეურნეო არტელი გაერთიანდა და სტალინის სახელი ეწოდა, თავმჯდომარედ აირჩიეს ფილუ შონია.

1952 წელს გააერთიანეს ორივე კოლმეურნეობა და მიანიჭეს კალინინის სახელი, თავმჯდომარედ


ზემო ბიის ეკლესია

არჩეულიქნა ნიკიფორე იოსავა.

კალინინის სახელობის კოლმეურნეობას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: აქვსენტი იოსავა, კოროკი ღადუა, ჭოკო იოსავა, ნიკიფორე იოსავა, ვალიკო მიქავა, ნოე კუჭავა, ხუტა ბერაია, შოთა თუთბერიძე, აპოლონ გოგუა, ვარლამ ბარაშვილი, იროდი თოდუა, ნუგზარ თუთბერიძე, არველოდ ნანეიშვილი, ზურაბ კუტალია, ზური ლატარია, თენგიზ ტყებუჩავა, ჯამბულ ჩარტია, რობერტ იოსავა.

მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მეჩაიეობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეცხოველეობა, მეღორეობა, ტუნგოს წარმოება, მეაბრეშუმეობა, მესიმინდეობა. აქ იკრიფებოდა 480–500 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო სიმინდის მოსავალი 500–650 ტონას შეადგენდა.

### სოფელი დღეს


ჯამბულ ჩარტია

**ჯამბულ ჩარტია**–გამგებლის რწმუნებული სოფელ ბიაში.

სოფელი ყოველთვის მგრძნობიარე იყო და არის ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ. ჩვენი სოფელი წლების წინ ძალიან ღონიერი იყო. ბიაში ჩამოყალიბებული იყო კოლმეურნეობა, რომლის ძირითადი დარგი იყო მეჩაიეობა, მარცვლეული კულტურების მოყვანა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, ტუნგოს კულტურა, ამით იმის თქმა მინდა, რომ ხალხი დასაქმებული იყო და ეკონომიკურად არ უჭირდათ. მერე ყველაფერი შეიცვალა, გადავიტანეთ სამოქალაქო ომი, ნგრევა, აშენებულის რღვევა, დღეს მოწესრიგებულად რომ გვაქვს შუქი, გზა, სამგზავრო საშუალებები, ყველაზე მთავარი პური, მაგონდება არც თუ ისე შორეული წლები, როცა ფიზიკური გადარჩენისათვის ვიბრძოდით, დღეს სიტუაცია სულ სხვანაირია ვფიქრობ ხოლმე, მცირე დროში, როგორ გამოსწორდა ბევრი რამ.

* * *

–პრობლემები ძალიან ბევრი იყო. მათ შორის სასიცოცხლო მნიშვნელობისაც კი. დღეს ისინი ნაწილობრივ მოგვარებულია, განსაკუთრებით აღვნიშნავდი ზოგიერთ მათგანს. შეკეთდა თითქმის ყველა უბანთან მისასვლელი გზები, ზოგიერთი რამდენიმეჯერაც კი. შეკეთდა ადმინისტრაციული შენობა, რემონტი ჩაუტარდა საბავშვო ბაღს, მთლიანად გადაიხურა სკოლის შენობის სახურავი. შემოიღობა სოფელში განთავსებული სასაფლაოები. მოეწყო გარე განათებები, შერემონტდა ყანებთან მისასვლელი ხობისწყალზე გადებული ჯაჭვის ხიდი, შემოკავებულიქნა და კეთილმოეწყო ღია სპორტული მოედანი, სკოლის წინ გაკეთდა ახალი ხიდ-ბოგირი, აშენდა ერთი მოსაცდელი სკოლასთან ახლოს. მოსახლეობის მოთხოვნით დაიწყო წყლის პრობლემების მოგვარება, მოხდა წყალსადენის რეაბილიტაცია და აბონენტებს მრიცხველები დაურიგდათ, მალე დასრულდება მისი სრული რეაბილიტაცია. როგორც გვეუბნებიან, მალე დაიწყება ელექტრო გამრიცხველიანების და სოფლის გაზიფიკაციის პროცესი.

* * *

–მიუხედავად მოგვარებული საკითხებისა, არის ისეთი პრობლემებიც, რომლებიც აქტუალურია დღეს. პირველ რიგში ესაა სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნა. ცუდი მდგომარეობაა ხობისწყლის ნაპირას მდებარე სათეს ფართობებზე, იმ მხრივ, რომ მდინარეს ყოველწლიურად მიაქვს გარკვეული ფართობის პრივატიზებული მიწები, საჭიროა სასწრაფოდ დაიწყოს ნაპირსამაგრი სამუშაოები, გვაქვს აგრეთვე დამეწყრილი ზონა, რომელთა მფლობელებიც დახმარებას ითხოვენ. ახალგაზრდებს არა აქვს კლუბის შენობა, სადაც შეიძლება კულტურული ღონისძიებების ჩატარება, გარდა ამისა ახალგაზრდების თხოვნაა სოფელში მოეწყოს ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი.

* * *

***მთავარია ვიყოთ ერთად, რადგან ერთიანობა გვაძლიერებს, ერთად დგომით დავძლევთ ყველა სიძნელეს, როგორც ეს ადრე გაგვიკეთებია. მინდა გითხრათ, ყველაფერი კარგად იქნება.***

**მანანა შულაია.**

## გვარიშვილობა

**გვარის საყოველთაო გავრცელების შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში გვარები VI საუკუნეში გაჩნდა. უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გვარების უმრავლესობა დაახლოებით XIV-XV საუკუნეებიდან მომდინარეობს. ყველა ადამიანისათვის თავისი გვარი დასაფასებელია, მაგრამ გვართა შორისაც არის განსხვავებები. ყველა გვარს თავისი ისტორიული გენიალოგია გააჩნია და სწორედ ამით გამოირჩევიან ისინი ერთმანეთისაგან.**

**ხობის მუნიციპალიტეტში არიან ისეთი ოჯახები, რომელთა გვარებს დიდი ისტორიული წარსული გააჩნიათ. ამ ნომერში მინდა მოგითხროთ კობახიძეებისა და ქორთუების გვარის შესახებ.**

# მომავალი ისტორიიდან იწყება

*კობახიძეთა გვარი უძველესია საგვარეულოა საქართველოში. გვარის ფუძე კობახი უძველესი ფორმაა და მას წარმომავლობა კუთვნილების აღმნიშვნელ ფუნქციას აკისრებს. ისე, რომ კობახი გააზრებულია, როგორც კობახ შთამომავალი.*

*1904 წელს აბასთუმანში მცხოვრები, კობახიძეები თავადები იყვნენ, ხოლო ხეთაში მცხოვრებნი კი აზნაურები. გვარს არაერთი გამორჩეული პიროვნება ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ სოფელ ხამისქურში მცხოვრები მხცოვანი პედაგოგი, ნათელა ამირანის ასული კობახიძე-ქორთუა. მეუღლე ვლადიმერ მიხეილის ძე ქორთუა მასზე დაქორწინდა 1946 წელს. ის ადგილობრივი, ხამისქურის მკვიდრი გახლდათ. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი, ასევე დამთავრებული ქონდა ჟურნალისტიკის და იურიდიული ფაკულტეტები. 1979 წელს ავტოავარიის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა.*

*ქალბატონი ნათელა სპეციალობით ფილოლოგია. დაამთავრა ხეთის არასრული საშუალო სკოლა, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ხუთ პროცენტზე. როგორც მისი მონაყოლიდან ვიცი, რადგან დედაც და მამაც ლიტერატურას ეტანებოდნენ, ბავშვებმა „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“ ზეპირად ვიცოდით. ამან გადააწყვეტინა ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება. 1938 წლის ხუთ თებერვალს, ხამისქურის არასრულ საშუალო სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა. საშუალო სკოლად გადაკეთებასთან დაკავშირებით, გადაუყვანიათ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. ამ თანამდებობაზე მან 30 წელი იმუშავა. მიღებული აქვს სხვადასხვა დროის წარჩინებული მასწავლებლის წოდება, „ღირსების ორდენი,“ ამაგდარ ქალბატონს სოფელმა მის მიერ გაწეული ღვაწლი დაუფასა და სიმბოლური ვარსკვლავი სკოლაში გაუხსნა. 2010 წლის 31 დეკემბერს ქალბატონ ნათელას, შრომისა და ღვაწლისათვის რომელიც მან გასწია მრავალი თაობის აღზრდაში ხობის*



*მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ, პრეზიდენტის საახალწლო მოსალოცი ბარათი და საინფორმაციო გამოცემა „ხობის მუნიციპალიტეტი,“ სპეციალური საჩუქარი გადასცა. ქალბატონ ნათელა კობახიძესთან ჩემი პირველი შეხვედრა 2004 წელს შედგა. მას შემდეგ ვერ ვიტყვი დიდმა დრომ ჩაიარა მეთქი, მაგრამ მაინც, ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ სხვანაირი კუთხით იქნა დანახული. ვფიქრობ, რაც უფრო ხშირად დავწერთ, ხშირად მოვეფერებით, დავაფასებთ, ასეთ ღვაწლმოსილ ადამიანებს, კარგი იქნება, თუ წარსულ ისტორიას სათანადოდ არ დავაფასებთ, მერწმუნეთ, მომავლის შენება გაგვიჭირდება, რამეთუ მომავალი ისტორიიდან იწყება. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ვსტუმრებოდი ქალბატონ ნათელას. ჩვენი ინტერვიუ ოჯახურ წრეში შედგა.*

***ქალბატონო ნათელა, ვიცი, რომ თქვენთვის ეს შეკითხვა ტკბილ მოგონებებთანაა დაკავშირებული, მოგვიყევით, როგორ დაიწყო თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა?***

–ახალგაზრდობაში დაუღალავი ვიყავი კეთილსინდისიერად ვეკიდებოდი ჩემს პროფესიას, ვალდებული ვიყავი მოსწავლეთათვის ჩამენერგა და გამომემჟღავნებინა უსაზღვრო სიყვარული შრომისადმი, რომელიც აუცილებელი პირობაა და საფუძველია ცოდნის მისაღებად. უსაზღვრო სიყვარულსა და სიხარულს განვიცდიდი, როდესაც სკოლის კურსდამთავრებულებისაგან მოლოცვის ბარათებს ვღებულობდი. ჩემი ყოფილი მოსწავლეთაგან რამოდენიმეს ამავე სკოლის დირექტორად უმუშავნია. ამჟამინდელი სკოლის დირექტორი ლელა კუკავა ჩემი ყოფილი მოსწავლეა. ჩემი აზრით, ახალგაზრდობა სიცოცხლეს ახანგრძლივებს, იმედს უნერგავს ადამიანს, შეუძლებელს შეაძლებინებს. ჩემი დროის ახალგაზრდები გარკვეულ შეზღუდულ ჩარჩოებში იზრდებოდნენ. თავისუფალი დამოკიდებულების და შეხედულების გამოთქმა აკრძალული იყო. ჩემი აზრით, დღევანდელი ახალგაზრდები უფრო დამოუკიდებელნი, თავისუფალნი არიან. დღევანდელი ხელისუფლება ყურადღებას უთმობს ახალგაზრდების მოთხოვნებსა და ნაფიქრალს უკეთესი მომავლისათვის. საამისოდ საჭიროა, ახალგაზრდობამ მიღებული ცოდნა უფრო განამტკიცოს და ისწავლონ ჩვენი ერის ისტორია. გალაკტიონს მოვიშველიებ და მომავალ თაობას ვეტყვი:

**„გეკაფოთ–რაც უღრანია!**
**აგევსოთ–რაც ხარვეზია!**
**სამშობლო არ დაივიწყოთ,**
**სამშობლო უმთავრესია!“**

**პრეზიდენტთან თქვენს შეხვედრაზე მომიყევით?**

–დიახ... ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი დასამახსოვრებელი დღეა, მე წარდგენილი ვიყავი ღირსების ორდენზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს თავის რეზიდენციაში უნდა გადმოეცა, მეც ავდექი და ვესტუმრე. ჩემი თავი მას ასე გავაცანი: მე ვარ 91 წლის „ახალგაზრდა მოხუცი“, 72 წელი გახლავთ, რაც სოფელ ხამისქურის პიერ კობახიძის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ, ახალგაზრდა მეთქი გაგიკვირდათ ალბათ, მაგრამ მუხედავად ჩემი ასაკისა, დღესაც ისეთი ენერგიით ვმუშაობ, როგორც მაშინ, პირველად რომ შევედი სკოლაში მასწალებლად. (მაშინ ჯერ კიდევ ვმუშაობდი სკოლაში). ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, მეც უნდა გამოვეთხოვო ჩემს საყვარელ სკოლას. იმედი მაქვს, რომ თქვენი ძალისხმევით საქართველო გამთლიანდება. ღმერთმა მომასწროს ამ დღეს. დიდი სითბო და სიყვარული გამოხატა მან იქ დამსწრე პედაგოგების მიმართ. კომპლიმენტიც კი მითხრა (ღიმება), ამ ასაკის თქვენისთანა ლამაზი ქალბატონი არ მინახავსო და მთელი საღამო გვერდიდან არ მოვუშორებივარ. ვახტანგურად შამპანურიც შევსვით და ერთად დავესწარით ნანი ბრეგვაძის კონცერტს.

### ისტორიული შტრიხები

მამა- **ამირან შარვანის ძე კობახიძე,** მცხოვრები სოფელ ხეთაში (შემდეგ ხეთას გამოეყო ხამისქური). იყო წარჩინებული თავადი. სულიერად ამაღლებული, უსაზღვროდ მოსიყვარულე თავისი ხალხისა, თავის მამულზე დაუსახლებია ათეულობით უსახლკარონი. სოფელ ცაიშიდან დაწყებული თორსადღვაბაში, ხეთასა და ზუგდიდის სხვადასხვა სოფლებში ჰყოლია 92 მონათლული. გიმნაზია ქუთაისში დაუმთავრებია, შემდეგ ოჯახს მოჰკიდებია. ამირან კობახიძეს მონაწილეობა მიუღია „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულ თარგმანში, რომელიც აკაკი ჟვანიას სახელითაა გამოცემული. ქალბატონი ნათელა მამას ასე ახასიათებს: „ფიზიკურად მამა ულამაზესი შეხედულებისა იყო. სოფელში თუ ზუგდიდში მამას სუფრის თამადად იწვევდნენ. მართლაც სანატრელი იყო მისი ენამჭევრობა, „ვეფხისტყაოსნის“ ენით მიჰყავდა სუფრა. მამა აფხაზეთის უკანასკნელ თავადს ალექსანდრე შარვაშიძეს მისი ქალიშვილის ქორწილზე მიუწვევია. ამირანს ხლებია ზუგდიდის ცნობილი თავადები–მისი ძმა ავთანდილ კობახიძე, მიხა ჟორდანია, შარვაშიძე, ხეცია. გადაღებული აქვთ სურათი ალექსანდრე შერვაშიძესთან ერთად. მამა თურმე კარგადაც მღეროდა. კირილე პაჭკორიას უთხოვია თბილისში წასულიყო და ამ საქმეს გაყოლოდა, მაგრამ მამას უთქვამს, სხვამ როგორ უნდა მიდირიჟოროს თავად კაცსო და არ წასულა. დედა–ლოლა დავითის ასული ჯოჯუა აზნაურთა გვარის წარმომადგენელი იყო. მასაც ქუთაისის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ისიც მახსოვს, ბავშობისას, მამას როგორ სდევნიდნენ. თუ არ ვცდები, 1924-25 წლებში დაიჭირეს. როცა პატიმრები ზუგდიდში გადაჰყავდათ, პატიმართა შორის ცნობილი პიროვნებებიც გახლდათ, ჩვენს სახლს, რომ მიუახლოვდნენ, მამას უთხოვია, ბავშვები მისთვის ეჩვენებიათ. მახსოვს დედაჩემი ფეხმძიმე ქალი, ფეხით მიდიოდა. პატიმრები იმ ღამით მიხა ჟორდანიას სახლში შეაჩერეს. მამა გააქციეს იმ სახლიდან, მისი მონათლულის მიხა ჯგერენაიას დახმარებით. სხვა პატიმრები ცაიშის გზაზე დახვრიტეს.“

მე-16 საუკუნის დასასრულსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში, სამეგრელოს სამთავრო ყველა სამთავროთა შორის, ძლიერია სამეფოს დონეზე. ისტორიული წყაროებიდან: იტალიელი მკვლევარი, მოგზაური, მისიონერი არქანჯელო ლამბერტი გადმოგვცემს: ლევან II დადიანის სამთავროში მის გვერდით მდგომი პირველი იყო, ფეოდალი თავადი, ვეზირი-მრჩეველი მთავრისა-მერაბ ქორთუა (კორტეგა). მერაბ ქორთუას ქალიშვილი ყოფილა გურიის მთავრის მეუღლე. ქორთუები მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ამ მონასტრის ფრესკაზე გამოსახულია მარიამ (ნანა) ქორთუა, როგორც წმინდანი. დღევანდელი ქორთუები ზემოთ აღნიშნული მერაბ ქორთუას შთამომავალნი არიან. მერაბ ქორთუას რეზიდენცია ყოფილა სოფელ ხეთაში, ხოლო რაც შეეხება ქალბატონ ნათელა კობახიძის მამამთილს, მიხა ქორთუას, მან 1905 წელს, დიპლომატიური მანევრებითა და მოლაპარაკებებით ხელი აალებინა ალიხანოვ ავარსკის დამსჯელ ჯარს განეხორციელებინა ვერაგული გეგმა-აეოხრებინა და გადაეწვა ხობისა და ხეთის მოსახლეობის სახლ-კარი. მიხა ქორთუა სამეგრელოს თავადს ლევან დადიანს „მარულაზე“ მიუწვევია, სადაც საპატიო სტუმრის სტატუსით ადგილს იკავებს მაია და სალომე დადიანების გვერდით. ბოლო ხანებში კი, 30-იან წლებში, როცა კოლმეურნეობა ყალიბდებოდა, ვლადიმერის დედა შვილებითურთ გამოუყრიათ სასახლიდან; სასახლე კოლმეურნეობის კანტორად უქცევიათ, აუოხრებიათ და დაუწვავთ. მათ ნასახლარში კი 12-15 ოჯახი ჩაუსახლებიათ. სახლი, სადაც ქალბატონი ნათელა ცხოვრობს, კობახიძის ნამოსახლარია, ხოლო სახლი ქორთუების სასახლისგან შემორჩენილი მასალით არის აგებული, რომელიც კეთილ მეზობელს გადაუნახავს. სწორედ ამიტომ უფრთხილდება და ელოლიავება ამ პატერა სახლს. თუნდაც ამ სახლით, მასში განლაგებული ძველი ნივთებით, სურათებით, ძველი სიწმინდეებით იცავს ქორთუებისა და კობახიძეების გვარის გენიოლოგიას ქალბატონი ნათელა, რომლისთვისაც ყველაფერი ისტორიულ საუნჯეს წარმოადგენს.

## მისგან ყველას რაღაცა გვაქვს სახსოვარი..

### ამაგდარი

ქალბატონი ნათელა ჩემი მასწავლებელი იყო, მაშინ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა და პარალერულად ქართულ ენასა და ლიტერატურეს ასწავლიდა. ძალიან საინტერესო და რთული პედაგოგიური გზა გაიარა ქალბატონმა ნათელამ, მისი სამუშაო დღე დილით ადრე იწყებოდა და გვიან ღამემდე გრძელდებოდა.. სკოლიდან შინ მიმავალს ალბათ გზაში ბევრჯერ შემოღამებია.. ღამით გვიანობამდე მოსწავლეთა ნაწერებს ჩაჰკირკიტებდა, რომ მომდევნო დღეს მომზადებული შესულიყო გაკვეთილზე. სკოლის ცხოვრებით იცხოვრა დღემდე. ალბათ სკოლა წარმოადგენდა მისთვის უმთავრეს საზრუნავს. მას ხომ სხვისი შვილები საკუთრად მიაჩნდა, მათი ტკივილი სულს უფორიაქებდა, სიხარული კი გულზე მალამოდ ედებოდა. ქართული ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარული სწორედ ნათელა მასწავლებელმა ჩამინერგა. დღეს ნათელა მასწავლებელი ერთ-ერთი უხუცესი მასწავლებელია, რომელიც პრეზიდენტმა „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა. ეს ჯილდო მისი პედაგოგიური მოღვაწეობის გვირგვინია. მინდა ნათელა მასწავლებელს მადლობა გადავუხადო იმ დიადი საქმის გამო, რაც მას თავისი პედაგოგიური მუშაობის 72 წლის მანძილზე უანგაროდ გაუკეთებია, მუხლჩაუხრელად და დიდი ენთუზიაზმით გაწეული შრომისათვის და ვუსურვო ჯანის და სულის სიმრთელე.

**ლელა კუკავა,**
**ხამისქურის საჯარო სკოლის დირექტორი**

### მიყვარხართ ნათელა მასწავლებელო

მხიარული, თან სევდიანი განწყობილება მეუფლება, როდეცსაც ვლაპარაკობ ნათელა მასწავლებელზე. მხიარული იმიტომ, რომ მქონდა პატივი მცნობოდა ბავშობიდან. თქვენ არა მარტო მასწავლებელი, არამედ ჩემი უახლოესი მეგობრის ქეთინო ქორთუას საყვარელი დედა ბრძანდებით. დედის და მასწავლებლის სიყვარულს მაზიარეთ ბავშობიდან დედით ობოლს. თქვენით ვსაზღვრავ, როგორი უნდა იყოს დედა და მასწავლებელი. ბევრჯერ მიფიქრია, რა იყო თქვენთვის პირველი ოჯახი თუ სკოლა. დაუფიქრებლად გიპასუხებთ სკოლა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ თქვენი ცხოვრებიდან: ეს იყო 1963 წლის 1 სექტემბერი, როდესაც დედამ პირველკლასელი წამიყვანა ხამისქურის საქირიოს სკოლაში, სკოლის კარებთან დედას შეხვდა ლამაზი, სანდომიანი სახის ქალბატონი და თეთრბაბთიანი გოგონა ჩანთით დედაჩემს ჩააბარა, შენს ბავშვთან ერთად სკოლაში შეიყვანეო, თვითონ კი აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა გზას. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, რომ თქვენ მეორე სკოლაში მიგეჩქარებოდათ, სადაც ასევე პირველკლასელებს უნდა შეხვედროდით. თქვენ საკუთარ შვილს სხვისი შვილების დახვედრა და მიღება ამჯობინეთ, იმიტომ, რომ თქვენ არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც სკოლას ეკუთვნოდით და მთელი ცხოვრება ატარეთ ის წმინდა და სათუთი სახელი, რომელსაც მასწავლებელი ჰქვია.

**მანელა ნაჭყებია,**

### ჩემო მშვენიერო და სათაყვანო ნათელა მასწავლებელო

თქვენისთანა ჭეშმარიტი მასწავლებელი ყოველ დროსა და ყოველ ქვეყანაში მოძღვარია, ერის სახეა, საამაყო და სასიქადულო. მე, როგორც მასწავლებელი, თქვენგან დავალებული ვარ, თუ ჩემში, როგორც პედაგოგში, რაიმე დადებითია, ეს თქვენი გონიერი დარიგებისა და დედობრივი ზრუნვის შედეგიცაა. ძალიან გაფასებთ და გეთაყვანებით. 32 წელი ვიმუშავე თქვენს გვერდით. ამ ხნის მანძილზე მე თქვენგან განაწყენებული არც დიდი და არც პატარა არ მახსოვს. ყველასთან ერთნაირად სამართლიანი და მომთხოვნი იყავით. გეხერხებოდათ „წაქცეულიას“ წამოყენება და ნ. დუმბაძისა არ იყოს, ადამიანი თქვენთვის არასოდეს ყოფილა „ფრესკა“. მასწავლებელიც იყავით და მასწავლებელთა მასწავლებელიც, თქვენს მანერებს ვბაძავდით, თქვენ ხმის ტემბრს. თქვენი ყოველი თვისება მისაბაძი იყო. რაც მახსოვს, თქვენს გარდერობში არასოდეს მინახავს ფერადი ტანსაცმელი, თქვენს ულამაზეს სახეზე ჯანსაღი ღიმილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენგან ყოველთვის მოდიოდა ღვთიური მადლი, კდემამოსილება, სითბო და სიყვარული. ჩემო ხატო, ნუ შეგაშინებთ ერთი შეხედვით „სოლიდური“ ასაკი, ნურც „ღირსების ორდენი“ იქნება თქვენი ტიტანური შრომის საზღაური. ეს ყველაფერი შეფარდებითია იმასთან, რაც თქვენ გაგიკეთებიათ. თქვენ ხომ უსაზღვრო სახალხო სიყვარულით ხართ გარემოცული...

**ფევდოსია კვარაცხელია**

### ღვაწლმოსილი

ნათელა მასწავლებელთან ერთად გატარებული მუშაობის წლები მუდამ სასიამოვნო მოგონებად დამრჩება. მახსოვს, როგორც მკაცრი და მომთხოვნი სასწავლო ნაწილის გამგე. ჩემო საყვარელო ნათელა მასწავლებელო, თქვენ იყავით ჩემი ახლო მეგობარი, ცხოვრების მეგზური და დიდი მესაიდუმლე. თქვენ ხართ ეტალონი იმისა თუ როგორი უნდა იყოს პედაგოგი, ქართველი დედა და ქალი. თქვენი გაცილება სკოლიდან არა თუ მთელი სოფლის, არამედ მთელი რაიონის



ნათელა კობახიძე

ზეიმი გახლდათ. სოფლის მოსახლეობის ოთხი თაობა ქედს გიხრიდათ გაწეული ამაგისათვის.

**მაყვალა ჩიტაია**

### მასწავლებელი

ჩემთვის დიდი პატივია ნათელა მასწავლებელო ორიოდე სიტყვით მოგეფეროთ და კიდევ ერთხელ სიამაყით წარმოვთქვა, რომ მე ვარ თქვენი აღზრდილი, მქონდა პატივი, მე-V კლასიდან სკოლის დამთავრებამდე ვყოფილვიყავი თქვენი მოსწავლე. მახსენდება ჩემი ბავშვობა, როდესაც დაწყებითი კლასიდან მაღალ კლასში გადავედი, სულ მეშინოდა ვინ იქნებოდა ჩემი მასწავლებელი, ვინ მაზიარებდა ქართული ლიტერატურის სიდიადეს, რუსთველის ენას, ამიტომ შეშინებული შემოგცქეროდი, მაგრამ თქვენ პირვლივე გაკვეთილიდან მაგრძნობინეთ დიდი სითბო, სიყვარული და შიშიც თანდათან გამიქრა. დღესაც ყურში ჩამესმის თქვენი სიტყვები : „ნუ გეშინია“, „ყველაფერი კარგად იქნება“ და როგორც მაშინ, ეს სიტყვები ახლაც მამხნევებს და რწმენას მმატებს...

კაცობრიობის დაარსებიდან დღემდე ღმერთმა ადამიანს სიკეთეს და ბოროტებას შორის არჩევანის უფლება და ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვრიდრების უნარი მისცა. თქვენ, ნათელა მასწავლბელო, თქვენი ადგილი იმთავითვე დაიმკვიდრეთ ცხოვრებაში.

როდესაც საზოგადოებაში ამბობენ გადავგვარდით, სად არიან კეთილი ადამიანებიო,–გეპატიჟებით, მობრძანდით ნათელა კობახიძის ოჯახში, სადაც იხილავთ სიკეთეს, პროფესიონალიზმის, კეთილსინდისიერებას, ინტელექტს და მეტყველების კულტურას.

ნათელა მასწავლებელო! გისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლესა, ჯანმრთელობას და როგორც აქამდე, უფლის გზით სიარულს. ჩვენ, თქვენი აღზრდილები კვლავაც ვიამაყებთ თქვენით, უღრმესი მადლობა, რომ არსებობთ და მომავლის რწმენით გვავსებთ.

***ლაშა ცატავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.***

**P.S.** სათაური, რომელიც ჩემი სტატიის ასე ვთქვათ ფინალურ ნაწილს შევურჩიე, ვფიქრობ, ნათლად შეეფერება ისეთ დიდ ქალბატონს, როგორიცაა ნათელა კობახიძე, რამდენიც არ უნდა წერო მასზე, როგორი ლამაზი სიტყვებითაც არ უნდა შევამკოთ, მაინც უკმარისობის გრძნობა გეუფლება, ალბათ იმიტომ, რომ ერთ საგაზეთო წერილში ვერ ასახავ იმ დიდ ღვაწლს, რაც მან თაობათა აღზრდას შეალია, აკი ამბობენ კიდეც, მასწავლებლის ღვაწლი დაუფასებელიაო. კიდევ ერთხელ მინდა მოგეფეროთ და დიდი მადლობა მოგიხადოთ იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც დაგითესავთ და დღესაც თესავთ. იყავით დიდხანს, რომ სახსოვარი თქვენგან არ მოგვაკლდეს.

***გვერდი მოამზადა ნინო გერგაიამ***

## აფხაზეთი–ტკივილი ჩვენი

# აფხაზეთის ოკუპაცია საუკუნეს ითვლის

სეპარატისტების მიერ აფხაზეთის ოკუპაცია 1993 წლის 27 სექტემბერს არ დაწყებულა, ის, სამწუხაროდ, 1921 წლის 25 თებერვალს დაიწყო, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებით და დაპყრობით ბოლშევიკურმა რუსეთმა ცალმხრივ დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და განახორციელა საქართველოს ოკუპაცია, რასაც ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში აფხაზეთში საფუძველი ჩაეყარა აგრესიულ სეპარატიზმს. საბჭოთა ხელისუფლების მიერ აფხაზეთს მიენიჭა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი. ამ სტატუსის მინიჭება განპირობებული იყო საქართველოს ოკუპაციამდე მიღებული 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით, სადაც ნათქვამი იყო, რომ–„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“.

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე თბილისს ეწვია აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია რ. კაკუბას, გ. თუმანოვის, ვ. გურჯუას, გ. აჯალოვის შემადგენლობით და გაიმართა მოლაპარაკება აფხაზეთ–საქართველოს შემდგომი ურთიერთობის თაობაზე. 1918 წლის 6 ივნისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსული რ. კაკუბა ხაზს უსვამდა რა ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ ერთობას, მათ სულიერ სიახლოვეს, მოითხოვდა ეს ერთობა შენარჩუნებულიყო და აფხაზეთს არ მოჰკლებოდა საქართველოს მხრიდან დახმარება. რ. კაკუბამ ისიც აღნიშნა, რომ აფხაზეთში არსებობდა სხვადასხვა ორიენტაციის რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება–„შეძლებულთა ჯგუფი თურქული ორიენტაციისა, გარკვეული მცირე ჯგუფი კი გამსჭვალულია ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკისადმი სიმპატიით“, სწორედ ამიტომ იგი მთავრობას სთხოვდა აფხაზეთიდან არ გამოეყვანა თავისი გვარდიის ნაწილები. 1918 წლის 8 ივნისს, აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლობასა და საქართველოს მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც აფხაზეთი ადასტურებდა საქართველოდან განუყოფლობას, ხოლო საქართველოს მთავრობა მას აღუთქვამდა ავტონომიურ უფლებებს რესპუბლიკის შემადგენლობაში“. („ჩვენი საქართველო“ 2009 წ. გვ. 36)

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკური რუსეთის პროვოკაციები არ წყდებოდა, 1918 წლის გაზაფხულზე და ოქტომბერში ბოლშევიკებმა აფხაზეთში ორჯერ მოაწყვეს აჯანყება აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის მიზნით, მაგრამ გენერალ მაზნიაშვილის ნაწილების ოპერატიული მოქმედებით, ორივე შემთხვევაში საშიშროება თავიდან იქნა აცილებული.

„აფხაზეთის საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთის სამხრეთში თეთრგვარდიელი გენერლის დენიკინის მძლავრობის პერიოდში. დენიკინის აზროვნება დიდად არ განსხვავდებოდა ბოლშევიკურისაგან. ისიც აფხაზეთს, ისევე როგორც მთელ საქართველოს, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ შემადგენლობაში მოიაზრებდა. აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთში აქტიურობდნენ რუსული კლერიკალური წრეები, რომლებიც ცდილობდნენ გაგრის ოლქი ყუბანის, ხოლო აფხაზეთის საეკლესიო ეპარქია შავი ზღვისპირეთ–ნოვოროსიისკის შემადგენლობაში შეეყვანათ. დენიკინის ჯარმა რამდენჯერმე სცადა აფხაზეთის ტერიტორიაზე შეჭრა და მისი მითვისება, მაგრამ საქართველოს სამხედრო ძალებმა გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით, ეს განზრახვა ჩაშალეს და დენიკინის ჯარები ქ. სოჭის იქით გააძევეს.“

1919 წელს აფხაზეთის სახალხო საბჭომ საქართველოს დამფუძნებელ კრებას ავტონომიის აქტი წარუდგინა, რომელსაც ხელს აწერდა საბჭოს თავმჯდომარე ემხვარი. აქტში ნათქვამი იყო–„აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, რომელიც არჩეულიქნა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორუფლებიანი და ფარული არჩევნების საფუძველზე, თავის სხდომაზე, 1919 წლის 20 მარტს, აფხაზეთის ხალხების სახელით დაადგინა:

1) აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, ამის თაობაზე ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას.

2) ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის განსაზღვრისათვის არჩეულიქნას შერეული კომისია საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა თანაბარი რაოდენობით. გამომუშავებული დებულებები, თუ მათ მიიღებენ საქართველოს დამფუძნებელი კრება და აფხაზეთის სახალხო საბჭო, შეტანილი უნდა იქნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში“.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აღნიშნული აქტი მოიწონა და დაამტკიცა. 1920 წლის მიწურულისთვის საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების პროექტი“, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა.

დებულებაში ნათქვამია, რომ „აფხაზეთი მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, შავი ზღვის სანაპიროდან კავკასიონამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს შინაგან საქმეებს.“ ეს დებულება ასახავდა ისტორიული ცხოვრების რეალობას და პასუხობდა ორივე ხალხის ინტერესებს, ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ საქართველო–აფხაზეთის ურთიერთობის საკითხი სამართლიანად გადაწყვიტა ორივე მხარისთვის მისაღები პირობების საფუძველზე („ჩვენი საქართველო“ გვ.37).

ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშინ რა საჭირო იყო აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის შექმნა? ბოლშევიკურ რუსეთს არა აფხაზი ხალხის მომავალი აინტერესებდა, არამედ ტერიტორია. რუსეთი თეთრი იქნებოდა თუ წითელი, ყოველთვის ცდილობდა საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის შუღლის ჩამოგდებას და დანაწევრებას, რათა საქართველოს და მის თავისუფლებისმოყვარე ხალხს არასოდეს ეფიქრა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა. და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ შეგნებულად უნდა გამოეწვიათ ხელოვნურად შეკოწიწებულ პოლიტიკურ ერთეულებთან დაპირისპირება და ეთნოკონფლიქტი. რაც გვაძლევს თამამი დასკვნის გაკეთების საშუალებას–მთავრობები ფერის მიუხედავად მიდიან და მოდიან, უცვლელი რჩება რუსეთის იმპერიული პოლიტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მოსკოვი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამო მოერიდა მის მიერ ტერიტორიებჩამოჭრილი საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფას, მაგრამ მას მიეცა საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად ისეთი უფლებები, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში არ ჰქონდა არც ერთ არათუ მცირერიცხოვან (1921 წელს აფხაზეთში ცხოვრობდა 41 000 აფსუა და 61 000 ქართველი), არამედ, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან, კულტურულად და ეკონომიკურად განვითარებულ ხალხსაც კი. 1921 წლის 16 დეკემბერს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ხელშეკრულების საფუძველზე კვლავ უბრუნდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. ბოლშევიკებმაც მხოლოდ 9 თვით (1921 წლის მარტი–დეკემბერი) უბოძეს აფსუებს „დამოუკიდებლობა“, რომელიც კონკრეტული მიზეზით იყო გამოწვეული. კერძოდ, ბოლშევიკური წითელი არმიის მიერ აფხაზეთის ოკუპირების შედეგად შექმნილი ადგილობრივი უკანონო საბჭოთა ხელისუფლება. 1921 წლის დეკემბრამდე ემორჩილებოდა არა საქართველოს ანალოგიურ ხელისუფლებას, არამედ კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს. ეს იყო მთელი დამოუკიდებლობა (ჯ. გამახარია, „აფხაზეთის ომი და საქართველოს გენოციდი“, ჟურნალი „მიჯნა“, №12, 1999 წ. გვ 72).

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებისთანავე, კრემლის მიერ ხელოვნურად დაიწყო სეპარატიზმის აქტიური სტიმულირება ამ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად, რომელმაც განსაკუთრებული ხასიათი მიიღო 1988-89 წლებში და 9 აპრილის ცნობილი ტრაგედიის დროს, როდესაც დღის წესრიგში საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი აქტიურად დადგა. ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე აშკარად გამოიკვეთა, როცა მდინარე ღალიძგის ნაპირებთან რუსი ემისრების მიერ წაქეზებულ აფსუებს ათეულობით ქართველი პატრიოტი პირისპირ გადაუდგა, მაგრამ ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების მერაბ კოსტავას გონივრული მოქმედების შედეგად, თავიდან იქნა აცილებული აშკარა კონფლიქტაცია და შეიარაღებული დაპირისპირება. ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელმძღვანელობის მმართველობის პერიოდში, გონივრული კომპრომისის გზით, განეიტრალდა რუსი სეპარატისტების მიერ დაგეგმილი ომი ქართველებსა და აფსუებს შორის, თუმცა რუსეთი დაჟინებით ცდილობდა შავიზღვისპირეთის და სტრატეგიული საქართველოს შესანარჩუნებლად პროვიკაციების დაგეგმვას, რაც გამოიხატა ზვიად გამსახურდიას ანტიიმპერიული კანონიერი ხელისუფლების დამხობით და ედუარდ შევარდნაძის უკანონო, მარიონეტული რეჟიმის დამკვიდრებით.

1992 წლის 14 აგვისტოს ე. შევარდნაძის ხუნტამ აფხაზეთში ყოვლად დაუშვებელი ომი დაიწყო, რაც სარკინიგზო მაგისტრალების „დაცვის“ საბაბით აფხაზეთში ქართველი საჯარო შენაერთების შესვლას მოჰყვა. აფხაზები და რუსები ეძებდნენ საბაბს ომის დასაწყებად და ეს საბაბი პოლიტიკური წინდაუხედაობის და არაპროფესიონალიზმის გამო სახელმწიფო საბჭომ. ე, შევარდნაძის მეთაურობით ხონჩით მიართვა მოწინააღმდეგეს.

1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება პოლიტიკური გამჭრიახობის ნიმუშია, რომლის შედეგად დაიკარგა გაგრა და ლესელიძე. იქნებ 1993 წლის 14 მაისის შეთანხმება იყო საოცარი ინტუიციისა და მიხვედრილობის ნიმუში, რომლის შემდეგ რუსეთის მიერ დაგეგმილი ტამიშის ოპერაცია განხორციელდა და რომ არა ქართველ მეომართა თავგანწირული მამაცობა, ყველაფერი გაცილებით ადრე დამთავრდებოდა. ან იქნებ 1993 წლის 27 ივლისს კრემლთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ძალით ქართული ჯარის მძიმე შეიარაღება მოღალატურად მოიხსნა გუმისთის ფრონტიდან? რუსეთმა სწორედ 27 ივლისის შეთანხმებით განაიარაღა ქართული ქვედანაყოფები და „ჰუმანიტარული მისიაც იკისრა, შევარდნაძეს შავი ზღვის ფლოტის ხომალდები მიაქირავა და ასე გამოზიდეს სოხუმიდან ფოთსა თუ ბათუმში ქართული ჯარის მძიმე ტექნიკა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მოწინააღმდეგის მიერ 1993 წლის 16 სექტემბერს დაწყებული მასირებული შეტევის შედეგად 27 სექტემბერს სოხუმის დაცემა, რომელმაც საბოლოოდ მთელი აფხაზეთი დაგვაკარგვინა. ძნელი მისახვედრი არ არის, ვისი ბრძანებით დატოვეს სამთავრობო ჯარებმა უბრძოლველად ოჩამჩირისა და გალის რაიონები.

1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნოწმენდა განხორციელდა, რომლის დროსაც 30 000 ადამიანი დაიღუპა, 300 000 კი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ისტორიული საცხოვრებელი და დევნილად იქცა. ეს იყო ომი არა აფხაზ სეპარატისტებთან, არამედ რუსეთთან და მისივე ხელდასმულ და წაქეზებულ ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებთან, რომლებსაც საომარი გამოცდილება რუსეთის არმიაში ჰქონდათ მიღებული.

ზუსტად ამ მეთოდებით გაუსწორდა რუსები XIX საუკუნეებში ჩერქეზებს, ჯიქებს, უბიხებს, ნაწილობრივ აფსუებს და სხვა კავკასიელ ხალხებს, რომლებიც იძულებით გადაასახლეს თურქეთში. XX საუკუნის ბოლოს იმავე რუსეთმა საუკუნოვანი ოცნება აისრულა–აფხაზეთიდან გამოაძევა მისი ძირძველი ქართველი მოსახლეობა, რომელიც აქ ათასწლეულების მანძილზე ცხოვრობდნენ. ამ იმპერიულ მიზნებს შეეწირა აფხაზეთის ქართული მოსახლეობა.

„1992 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამყარებულია სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც 1992 წლის 23 ივლისიდან უკანონოდ გამოცხადდა ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად. იგი არ არის აღიარებული არც ერთი ქვეყნის მიერ ,გარდა „რუსეთისა“, ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასისა“, ნაურუსა, ნიკარაგუისა და ვენესუელისა და იურიდიულად განიხილება საქართველოს განუყოფელ ნაწილად“.

„მიუხედავად ისტორიული ავბედობისა, ქართველი ერი მაინც გადარჩა და ამ გადარჩენის ძირითადი მიზეზი ერის ცხოვრებაში მყარად დამკვიდრებული იდეის–„ენა, მამული, სარწმუნოების“ ერთგულება იყო, რომელმაც ეროვნული და შემოქმედებითი ენერგიის ამოუწურაობა განსაზღვრა“. ქართველი ერის სულიერმა მამამ ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ბრძანა: „ჩვენ ქართველები, საჭირონი ვართ, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სხვებისთვისაც.“ ეს მაშინ ითქვა, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა პოლიტიკურად არ არსებობდა. არსებობდა რუსეთის ორი– ქუთაისისა და თბილისის გუბერნია, ეს სიტყვები ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მიუხედავად არსებული რეალობისა, ათასწლეულებს გამოტანებული ერის სულიერი სამშვენელი მომავალზე იყო ორიენტირებული.

**ლაშა ცატავა.**



---

### აზრი

## ღირს, ამაზე დაფიქრება!

საკმაო ფიქრი გვმართებს ყველას და მით უმეტეს მცირე ერის წარმომადგენლებს იმისათვის, რომ ჩვენი ათეული წლების მოპოვებული გენი არ გადაშენდეს.

ისტორია გვასწავლის, რომ ბევრი დიდი ერი გადაშენდა და მათი კულტურული მიღწევებიც მათ მიჰყვა.

ტელევიზიაში გადის ასეთი გადაცემა–„უადამიანოდ როგორი იქნება დედამიწა 5-10-20-40 და ა.შ. წლების შემდეგ“.

ყველასათვის ცნობილია ჩერნობილის ტრაგედია, მისი მიდამოები და ახლომდებარე ქალაქები უადამიანოდ უკვე დაინგრა, ან დანგრევის პირასაა.

სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანს ბუნების გვირგვინს უწოდებენ. საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს იზიდავს არა მარტო საქართველოს ბუნება, ლამაზი ქალები და კაცები, ბავშვები, არამედ ის ადათ–წესები, რაც ქართველებს გაგვაჩნია.

ვინ ჩამოთვლის, ან ვის შეუძლია ბოლომდე ისაუბროს ჩვენი ერის კარგ თვისებებზე იმაზე, რომ ჩვენ ოდითგანვე მოგვდგამს კაცთმოყვარეობა. მე მინდა შევეხო ყველაზე მტკივნეულს, რაზეც ყოველთვის წერდნენ, ლაპარაკობდნენ და დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება, ესაა საქართველოს გენოფონდის მდგომარეობა.

ქართველი ერი იმიტომ არ გადაშენდა, რომ თითოეულ ოჯახში ვიზრდებოდით 5, 6,7, 8 ბავშვი. მამაჩემი ჯარში რომ გაიწვიეს, ომის დროს, 31 წლისა იყო, დედა კი 28 წლის და ჰყავდათ ხუთი შვილი. მამა ომიდან ვერ დაბრუნდა. მაგრამ მეზობლებმა, რომლებიც დაბრუნდნენ კიდევ 3-4 შვილი გაზარდეს, აი, ეს იყო პატრიოტიზმი.

ყველაზე დიდ უბედურებად ის მიმაჩნია, რომ უშვილო ოჯახს უნდა ბავშვის მიშვილება, მაგრამ დღეის მდგომარეობით მიშვილებისათვის უნდა ჩადგე რიგში, ხანდახან ეს რიგი ათი წელიც გრძელდება. ამასობაში გადის დრო, მიმშვილებელს ემატება ასაკი და ჩნდება ათასგვარი პრობლემა.

გარდა ამისა, გამრავლების საკითხს ხელს უშლის ფასიანი მშობიარობა. დღეს რა თქმა უნდა, არის შეღავათები, დეკრეტული შვებულებები, (რომელიც რამდენიმე წელი არ არსებობდა), მაგრამ ეს პროცესი მაინც მძიმე ტვირთად აწვება ოჯახს.

კარგი იქნება, თუ ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს მოეძებნება გადაჭრის გზები.

27 წელიწადი ვიმუშავე რა განათლების განყოფილების გამგედ, ვაწარმოებდი გაშვილება–მიშვილების საქმეს და არც ერთი მომჩივანი არ გვყოლია (ეს საქმე სულმნათ ქალბატონ თამარ ჩაგვავას მიჰყავდა და ყოველთვის მადლობას იმსახურებდა), არ იყო საუბარი ბავშვის ყიდვა–გაყიდვაზე.

რაც შეეხება ბავშვის მიშვილების საკითხს სხვა სახელმწიფო მოქალაქეებზე, მკაცრ კონტროლქვეშ უნდა იყოს.

იყო დრო, ხობის რაიონში ცხრა ათასამდე მოსწავლე სწავლობდა. ახლა ხუთასს არ აღემატება. სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას. სოფელი დაცარიელდა, ყველა ქალაქში გარბის, მალე ქვეყნის მარჩენალი სოფელი მოხუცების ამარა დარჩება.

ოჯახის შექმნას ახალგაზრდები უფრთხილდებიან იმიტომ, რომ დასაქმებულნი არ არიან. ჩვენი მამა და მარჩენალი ხობის მიწა, სადაც ათეული წლების წინათ მოჰყავდათ 1500 ტ. სიმინდი; 1300 ტ. ჩაი; 3500 ტ. რძე; 300 ტ. ხორცი და ა.შ. ძირითადად დაუმუშავებელია. მიზეზი სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის უქონლობაა, საწვავის და სასუქის გაძვირებაა.

ჯობია ამ მწარე ფაქტებზე დავფიქრდეთ და ჩვენზე დამოკიდებული კეთილი საქმე ვაკეთოთ.

***შალვა ხარებავა,***
***რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი.***

არ დავიწყება

## ვლადიმერ კილასონია –100

# რაინდული სულის ინტელიგენტი!



მე მას გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შევხვდი. გურიფულში, ჩემი და ოთარის ოჯახში საქორწილო სუფრაზე. სუფრის ერთ თავში ჩვენ ვისხედით. მეორე თავში თამადა იდგა ყანწით ხელში და ჩვენს სადღეგრძელოს ამბობდა. ეს საოცრად ლამაზი, მჭერმეტყველი, არაჩვეულებრივად სასიამოვნო ტემბრის ხმის მქონე ახალგაზრდა კაცი ვალიკო (ვლადიმერ) კილასონია იყო.

ვინც ვალიკოს იცნობდა, მასთან მეგობრული ან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, მას ვერასოდეს დაივიწყებს. ეს კეთილშობილებით სავსე ვაჟკაცი სასურველი და საყვარელი სტუმარი და მასპინძელი იყო ყველასათვის, ყოველთვის, ყოველდროს, ყოველგან.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მკითხველს ვალიკო კილასონიას პოლიტიკური კრედო და საქმიანი თვისებები შევახსენო. ხობელებმა და არა მარტო მათ, კარგად იციან ამის თაობაზე. მე მინდა მისი ადამიანური თვისებები მოვიგონო. ვალიკო ჩვენი ოჯახის სიძე გახლდათ. მას ცოლად ჰყავდა გამორჩეული ოჯახის ქალიშვილი, განათლებული და სტუმართმოყვარე, მშვენიერებით განთქმული, თბილი და მოსიყვარულე ქალბატონი კატუშა წურწუმია. ძნელად მოიძებნება დაქორწინებული წყვილი, რომელთაც სიცოცხლის ბოლომდე ასე უყვარდეთ ერთმანეთი. სამაგალითო იყო მათი ოჯახის ცხოვრების წესი. მათ ოჯახში არისტოკრატული ცხოვრების წესი იყო გამეფებული. მახსოვს, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საუზმის, სადილისა და ვახშამის ტრადიციადქცეული დროში ჩატარებას, ოჯახის თითოეული წევრი უსათუოდ ამ დროს შინ უნდა მოსულიყო. ამ ოჯახში ყველამ, დიდმა და პატარამ, კარგად იცოდა თავისი ადგილი, თავისი საქმე და თავს ვალდებულად თვლიდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა იგი. ვალიკომ და კატუშამ თავიანთი შვილებიც ნუნუ, ნანი, დოდო, რამაზი, მაყვალა და კლარა ამ პრინციპით გაზარდეს. კატუშამ ცხოვრება ბოლომდე თავისი შვილების აღზრდას მიუძღვნა, თუმცა საშუალო სამედიცინო განათლება ჰქონდა, მაგრამ ძალიან წიგნიერი ქალბატონი იყო.

ვალიკო კილასონია წარმოშობით ზუგდიდელი გახლდათ. საშუალო და უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო, სკოლაში და ინსტიტუტში გამორჩეული აკადემიური მოსწრების მოსწავლე და სტუდენტი იყო. თბილისში დასთან ცხოვრობდა. სიძის, გამოჩენილი დასტაქარის მიხეილ (მიშა) პაჭკორიას ოჯახში. ვალიკოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დისშვილთან ოტია პაჭკორიასთან, რომლის შემოქმედებას კვლავ გატაცებით ეცნობა თანამედროვე ახალგაზრდობა. ვალიკო უაღრესად განათლებული კაცი იყო, უყვარდა ქართული და რუსული ლიტერატურა. ზეპირად, საოცარი გატაცებით კითხულობდა რუსი პოეტებისა და პროზაიკოსთა შემოქმედების ნიმუშებს... კატუშას მდიდარი ბიბლიოთეკა ჰ ქონდა. რას არ შეხვდებოდით ვალიკოსა და კატუშას ბიბლიოთეკაში. დაწყებული ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან, დამთავრებული უკანასკნელ თვეში გამოცემული წიგნით, წიგნი იყო მათი მეკვლე–მეგზური. შვილებსაც შეაყვარეს კითხვა. თავისუფალ დროს ისინი მუდამ წიგნის კითხვით იყვნენ დაკავებულნი. „მე მდიდარი კაცი ვარ,–მითხრა ერთხელ, როცა მის ბიბლიოთეკაში დავხვდი,–შეხედე, რა ქონება მაქვსო“–მართალი იყო ვალიკო, ამიტომაც წერდა გამართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით, ამიტომ მეტყველებდა სწორად, ამიტომაც იპყრობდა აუდიტორიას მისი საჯარო გამოსვლები. პასუხობდა უამრავ კითხვას, რასაც უსვამდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. თანამშრომლები სწორედ ამიტომ ეძახდნენ „ცოცხალ ენციკლოპედიას“.

ბატონი ვალიკო უაღრესად გულისხმიერი და მოსიყვარულე ადამიანი იყო, ირგვლივ მხოლოდ სითბოსა და სიკეთეს თესავდა. იგი მუდამ მზად იყო ლუკმა გაეყო სხვისთვის, გაეხარებინა შეჭირვებული, გაეთბო შეციებული... სამეზობლოში ვალიკო და კატუშა იყვნენ უბედურებაში ჩავარდნილთა ჭირისუფალნი, მათი ეიმედებოდათ, ნუგეშს მათ ოჯახში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც...

მათ ნაშიერებს–შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებსა და მათ პირმშოებს ეამაყებათ, რომ ვალიკოსა და კატუშას შთამომავალნი არიან, და სამართლიანადაც.

ცხოვრება არავის ანებივრებს. ვალიკო და კატუშამ უდიდესი ტკივილი და სევდა გაიყოლიეს ცათა სასუფეველში. ბატონმა ვალიკომ ახალგაზრდა სიძის–რომან კაპანაძის სიკვდილისგან გამოწვეული სევდის გამო მიიღო პირველი ინფარქტი.

დასანანია, რომ ორივე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, დარწმუნებული ვარ, ისინი სიკეთით სავსე სულთა საუფლოში განისვენებენ და ლოცავენ თავიანთ შთამომავლებს, ხობს, ხობელებს და სრულიად საქართველოს!

ნათელში გამყოფოთ უფალმა, ამინ!

**P.S.** *ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა ქალაქის ცენტრში ჩემი თაობის მეგობარი ოთარ ალანია შემხვდა. მოვაგონე, 17 თებერვალს ვალიკო 100 წლის გახდებოდა–მეთქი. ოთარმა ხელები ზეცისკენ აღმართა და უფალს თხოვა ვალიკოს, მისი უფროსი მეგობრის სულის სასუფეველში დამკვიდრება.*

*ხალხს ახსოვს ვალიკო კილასონია, ეს რაინდული სულის ინტელიგენტი.*

***მერი აბრამია***

# ალამაზებდა ხობს და ხობელებს

ძნელია მოსაგონარი სიტყვის თქმა იმ ადამიანზე, რომელიც თავისი ინტელექტით, თავმდაბლობით, კაცურ-კაცობით წლების განმავლობაში ალამაზებდა ხობსა და ხობელებს. სადაც კი უმუშავნია ბატონ ვალიკოს, თავის მოვალეობას მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა. იყო უბრალო ხელმძღვანელი და, რაც მთავარია, სამართლიანი და კეთილი. ამ თვისებებით დიდ



ვალიკო კილასონია

სიყვარულს იმსახურებდა. უყვარდა ხალხს, საზოგადოებას, თავის თანამშრომლებს.

ვალიკო კილასონიას არ უცხოვრია გამდიდრებისათვის, მისი ცხოვრების მიზანი იყო ეცხოვრა თბილად და ბედნიერება მიენიჭებინა სხვისთვის. ჭირსა და ლხინში უბრალოდ თანადგომა იცოდა, მიუხედავად იმისა, ყველა ადამიანს აქვს საფიქრალი თავის ცხოვრებაზე, (მით უფრო 6 შვილის მამას), იშვიათად ნახავდით უხასიათოდ, უყვარდა მოლხენა და ზომიერი ქეიფი, სუფრაზე მისი თამადობა საუკეთესო მაგალითი იყო ახალგაზრდებისათვის.

თათბირზე თანამშრომლებს არასოდეს გაუბრაზდებოდა (რაც იმ დროის ხელმძღვანელებისათვის დამახასიათებელი იყო), მაგრამ დავალების შეუსრულებლობას არავის პატიობდა. პრობლემებს თავად არასოდეს ქმნიდა, რაც ადამიანურ ურთიერთობაში ყველაზე ზრდილი და დახვეწილი ადამიანის თვისებაა და ამიტომაც–იშვიათი.

ვალიკო კილასონიამ და მისმა სათნო მეუღლემ ქალბატონმა კატუშა წურწუ-



კატუშა წურწუმია

მიამ 6 შვილი გაუზარდეს ქვეყანას, ისეთივე კეთილები, როგორც თავად იყვნენ. ისინი დღეს საზოგადოებრივ საქმიანობაში არიან ჩაბმულნი და პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

და ბოლოს, მინდა ჭკვიანი კაცის სიტყვით დავასრულო: „გმირი ადამიანია, რომელიც გადამწყვეტ მომენტში აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს საზოგადოების სასარგებლოდ“.

ეს სიტყვები, ჩემი აზრით, მიესადაგება ბატონ ვალიკო კილასონიას ცხოვრებას.

***კირილე ლაგვილავა***

# ღია ბარათი მამას!

ჩემო კეთილო, კარგო და საყვარელო მამიკო. შენგან 23 წელი გვაშორებს, 23 წელია არ გვინახივხარ. მოგვნატრებია შენი მამობრივი სითბო და ალერსი. შენგან ნაბოძები სიყვარული, ადამიანური თვისებები, დარიგებები... მამა, ძალუმად მომძალებია ცრემლები და შენთან თანაცხოვრების განვლილი ტკბილი დღეების მოგონებები. მართლაც, როგორი კარგი და სათნო ადამიანი იყავი. ყველას მიმართ მამობრივი გრძნობა გაკავშირებდა. ყველა გიყვარდა და შენს წრფელ სიყვარულს და პატივისცემას შუბლზე ამბორით გამოხატავდი.

იშვიათია დღეს ასეთი წრფელი და გულღია ადამიანები, სხვებისთვის დახარჯული, სხვებზე მზრუნველი და მახლობელი. ჩვენსავით, შენი შვილებივით გიყვარდა ყველა ჩვენი მეგობარი და ახლობელი. შენ მხოლოდ მამა, მეგობარი და საყვარელი ადამიანი კი არა, მასწავლებელიც იყავი შენი ახალგაზრდა კოლეგებისათვის, ყველა იმ ადამიანისათვის, ვის გვერდითაც იღწვოდი. 25 წელი იყავი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი და ამ წლებში ვინ იცის, რამდენს გაუწოდე მეგობრობის ხელი, აჩუქე წრფელი სიყვარული და დარიგებები, რომლებიც მჯერა, თითოეულს მამობრივი სიყვარულით ესაგზლა ცხოვრების დიდსა და რთულ გზაზე. ბევრი მათგანი დღეს, ისე როგორც შენ, ჩვენს გვერდით არ არიან, მაგრამ მათი ნაშიერნი არასოდეს გვივიწყებენ. დღესაც ბევრნი არიან ისეთები, რომლებიც შენს კაცობაზე, შენზე, როგორც უფროს კოლეგაზე თბილად და ტკბილად საუბრობენ, ისე ტკბილად, როგორიც შენ იყავი, ჩემო მამიკო. შენ, რომელიც უშურველად გასცემდი სიკეთეს, ყველას მოუწოდებდი ერთგულებისაკენ და ურთიერთპატივისცემისაკენ, საქმისკეთებისაკენ, რადგანაც საქმისადმი კეთილი დამოკიდებულება ეს შენი, როგორც კომუნისტის, ჟესტიც იყო.

მამა, შენს შემდეგ ბევრი, ძალიან ბევრი, რამ შეიცვალა. გადაფასდა შეხედულებები, აზროვნება, ცხოვრების სტილი, მაგრამ ადამიანობა, სიყვარული და ურთიერთნდობა დღესაც ისე ფასობს, როგორც წარსულში. ის ზნეობრივი თვისებები და ღირებულებები კი, რომლებიც შენ გაგაჩნდა, დღეს ძვირად ფასობს და იშვიათია... (თუმცა მაშინაც და დღესაც არსებობენ უსულგულო ადამიანები, რომელთათვისაც ყველაფერი სულერთია).

შენ, ჩემო თბილო ადამიანო, ყველა დროში მაინც შენ და დედა უსაყვარლესი ადამიანები ხართ და დარჩებით ჩემთვის, ვიდრე მეც თქვენსავით უფალი არ ამყრის ბორკილებს და თქვენსავით ჩემი სული ზეცაში არ ამაღლდება...

მამა, მე ვიცი, რომ შენ აქ ყოფნისას ორი უსაყვარლესი ადამიანის–ოტიასა და რომანის დაკარგვა სულის ტკივილამდე განიცადე, კიდევ კარგი, მესამის, ჩემი გოგის ტკივილი ცოცხალს არ გემწარა, მაგრამ მჯერა, მისი იქ მისვლა ნამდვილად გაუსაძლისი იქნებოდა თქვენთვის, ჩემო მშობლებო. ისე, როგორც ჩემთვის და ჩემი შვილისათვის, ჩემი დებისა და ძმისათვის, ყველა ახლობლისათვის. მამა, გაუსაძლისი გახდა წუთისოფელი, ცხოვრებაც მძიმეა და ზოგჯერ უსულგულო, ტკივილიანი, თუმცა გამონათებები, რომ არ იყოს, ალბათ ასე ვერ გაგრძელდებოდა. არსებობას მაინც აქვს ძალა და რწმენა, იმედი ხვალის. ეს იმედი ჩემთვის ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი გიორგია, რძალი, ქალიშვილივით საყვარელი, სათნო გოგონა თამუნა სიჭინავა და ჩემი შვილიშვილები–ტატა და გოგი ბუკიები. აი, ესენი არიან ჩემი გამონათებები, ასევეა ჩემი დები, ძმა, დისშვილები, ძმისშვილი და მათი შვილები. მამა, შენ იცი გყავდა შვილიშვილები მაკა, თამუნა, ეკა, გიგა, მანანა, გოგა, გიორგი, მაგრამ არ იცი, რომ გყავს შვილთაშვილიშვილები: რომიკო, რეზიკო, ტატა, ლუკა, გოგი, ლიზი. შვილთაშვილისშვილი–თაკო, ასე, რომ მდიდარი კაცი ხარ, მამა. შენი და დედას ნაშიერნი მეოთხე მოდგმას ითვლის. შენი ოჯახი, ყველა შვილი და მათი მონაგარი შენეული მორალითა და პრინციპებით ხელმძღვანელობენ თავიანთ ოჯახებს, ტრადიცია შენს ოჯახს რომ დაუტოვე, გრძელდება.

ჩვენო სახელოვანო მამიკო, ჩვენო თბილო და მოხუცო ადამიანო, ასი წლის გახდი, ნეტავ ეს რეალობა იყოს და ას წლამდე გეცოცხლა, არადა 77 წელიღა იკმარე. დედამ კი მხოლოდ 72 წელი.

გვიყვარხარ მამა, ამაყები ვართ, რომ თქვენნაირი კარგი მშობლები გვყავდა. გვიყვარხარ და გვენატრები. ამ საიუბილეო წელს გთხოვ სიზმრად მოხვიდე და გაგვახარო, გაგვაოცო, ჩვენო საყვარელი კაცო!

შენ ყოველთვის ჩვენთან იყავი, ჩვენს გულებში, ჩვენს ხსოვნაში დედასთან ერთად ჩვენს სიხარულსა და ტკივილში, ჩვენი წარმატებებისა თუ გულდაწყვეტილობის ჟამს. ჩვენს ღიმილში, სულ ჩვენთან, განუყრელად.

იძინეთ, მშვიდად, ჩვენო უსაყვარლესო ადამიანებო.

***ნანი კილასონია.***

>>>>> 11

არ დავიწყება

10 <<<<<

## ვლადიმერ კილასონია—100

# კაცი პირნათელი და უტყუარი

დრო გავიდა, წელს წელი გადაება, და ასე მიიწურა მთელი 23 წელიწადი. ჩემს თვალწინ ცოცხლდებიან ადამიანები, რომელთანაც სიყვარულით და პატივისცემით გამთბარი ურთიერთობები მაკავშირებდა. არიან ადამიანები, რომელთანაც ურთიერთობები, ერთი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებას ნიშნავდა. ადამიანებთან ურთიერთობისას გულწრფელი, სიმართლისმოყვარე და ზომიერება ადამიანური ღირსების ერთ-ერთი უმაღლეს ზნეობრივ კატეგორიას განეკუთვნება, ეს თვისებები ყველა პიროვნებას ამშვენებს და ალამაზებს. ეს თვისებები ამკობდა და ალამაზებდა ბატონ ვალიკო კილასონიას, რომელიც ჩემთვის და ბევრისთვისაც გახლდათ მამაკაცური მეგობრობის, ოჯახისა და პროფესიის ერთგულების, მოქალაქეობის, საქმეში პირიანობისა და სხვა ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი.

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა ბატონი ვალიკო გავიცანი, მამაჩემი მასთან ერთად ხობის რაიონის მიწგანში მუშაობდა. არც თუ იშვიათად ამოდიოდნენ ჩვენს სახლში და ნელი ბაასით შეექცეოდნენ სასმელს. მგონია, იმ დროს თითქოს მეგობრობაც სხვანაირი იცოდნენ, უფრო გულახდილები იყვნენ, უფრო ერთგულები, უფრო უყვარდათ ერთმანეთი.

...მერე ხობის აგროსამრეწველო გაერთიანებაში ერთად მოგვიწია მუშაობამ, ძველი ურთიერთობების განახლებით და განვრცობით. ახლა შეიძლება ბევრმა დაიჩემოს მისი ნაცნობობა და მეგობრობა, თუმცა შეიძლება ეს მართალიც იყოს, რადგან მას ყველა იცნობდა, როგორც ნიჭიერ კაცს, ყველა ახალმოსულს მის ხელში უნდა გაევლო, მის სუფრაზე უნდა მოხვედრილიყო, კაცზე თუ რამეს იტყოდა, მხოლოდ კარგს. იუმორი ამკობდა და ხუმრობის მადლიც იცოდა. ბატონ ვალიკოსაგან, ბევრი მამაშვილური დარიგება მახსოვს ტრიბუნიდან თუ პირად საუბარში ნათქვამი, სიამოვნებით ვიგონებ მის გამოსვლებს სხვადასხვა სახის თავყრილობებზე. მისი მუშაობა ემყარებოდა არა ადმინისტრირებას და ძალის პოლიტიკას, არამედ დაინტერესების, დარწმუნების მეთოდს, საოცრად თბილი საუბარი იცოდა, დინჯი, აუღელვებელი, დამრიგებლური.

ცნობილია, რომ კანონებსა და სინამდვილეს შორის მუდამ არის რაღაც ისეთი ნიუანსები, რაც ადამიანმა, სუბიექტმა უნდა გადაწყვიტოს. „პატარა“ კანონი უნდა დაარღვიო კიდეც „დიდი“ კანონის—ჩვენი ცხოვრების წესის, ჰუმანურობის, იდეის სასარგებლოდ. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო ბატონი ვალიკოს ცხოვრებაში, რომელიც პიროვნებებისადმი დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში ზემოთ აღნიშნული კატეგორიით ხელმძღვანელობდა.

მაშინდელ დროს, ხშირი იყო ინტრიგები, ჩასაფრებები, თავის გამოჩენის ამბიციები, ასეთი უზნეობების მონაწილე ბატონი ვალიკო არასოდეს არ ყოფილა. პირიქით, მას ყოველთვის სიმშვიდე და სიწყნარე შეჰქონდა კოლექტივში.

ბატონი ვალიკო ჩვეულებრივი, მიწიერი ადამიანი იყო, თავისი ფიქრებით, განცდებით, პირადი წუხილითა და სიხარულით. ცხოვრებას არ გაუნებივრებია, მაგრამ არასოდეს გატეხილა, რადგან გვერდში ღირსეული ოჯახის წევრები ედგნენ. მან შვილებიც ღირსეულად აღზარდა, დააფრთიანა, ასწავლა და საზოგადოებაში თავიანთი ადგილები აპოვნინა.

ბატონი ვალიკო იყო კაცი პირნათელი თავისი ქვეყნის წინაშე, უტყუარი, დიდი მოქალაქეობრივი თვისებების მატარებელი, ხობის ნამდვილი კოლორიტული ფიგურა.

**ნუგზარ თუთბერიძე**

# მონატრება

ვლადიმერ (ვალიკო) კილასონია ძველი თაობის ის წარმომადგენელია, რომელმაც თავისი ცხოვრება უმწიკვლოდ, პატიოსნად და ნამუსიანად გაატარა. ამიტომაა, რომ ის სიცარიელე, რომელიც მისი წასვლის შემდეგ გაჩნდა, დღემდე ვერავინ და ვერაფერმა შეავსო... ეს უდაოდ რჩეულთა ხვედრია.

ადამიანს ამ ქვეყნად რჩება ხსოვნა, თბილი სიყვარული და იგი თაობიდან თაობას გადაეცემა სამუდამოდ, ამიტომაა იდუმალ მოუხმობ, როცა გიხარია, ესაუბრები, ესიყვარულები... გიჭირს? ეკითხები, რჩევას სთხოვ, გგონია ისევ გირჩევს და გიშველის.

ასეთი იყო ვლადიმერ (ვალიკო) კილასონია, რომელმაც თავისი ცხოვრება უმწიკვლოდ, პატიოსნად და ნამუსიანად გაატარა.

1965 წელს გაერთიანებული რაიონები კვლავ ცალ-ცალკე იქნა აღდგენილი და შეიქმნა სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველო. ხობში უფროსად დაინიშნა ვლადიმერ კილასონია. მან შეკრიბა მაღალპროფესიონალი სპეციალისტები: ვარლამ ხურცია, ვალოდია ჩხაიძე, ვალოდია ტორჩინავა, ლავრენტ სახეიშვილი, პაშა გადელია, ირაკლი და ვასო ჭითაშვილები, რუბენ თუთბერიძე, ვალიკო ზარანდია, აპალონ სართანია, ორესტი თოდუა, კარლო ბერაია, მურმან ბუკია, ოთარ კობახიძე, გიორგი ხაბურზანია, კარლო კორტავა, ნუგზარ თუთბერიძე, ნაპო ლომაია, შუქური ბაღათურია, იმენია შონია, იპოლიტე შელია, კოტე ფარცვანია...

სამსახურის სათხოვნელად მისულს პირველად შევხვდი, თავაზიანად გამომკითხა, თუ რა სპეციალობა მქონდა—სკოლა ახალი დამთავრებული მაქვს, ჩემი ხელფასით ობოლი და-ძმანი უნდა ვარჩინო-მეთქი, შევატყვე შეწუხდა, ჩუმად და უხმაუროდ წამოდგა, წამომყევიო და ხობის რაიკომის საკანცელარიო განყოფილებაში მიმიყვანა, სთხოვა ჩემთვის საკანცელარიო საქმიანობა ესწავლებინათ...

ახალგაზრდებს გვასწავლიდა უანგაროდ დავდგომოდით გვერდით გაჭირვებაში ჩავარდნილს—საქმით და არა სიტყვით. „ჭირში თანადგომისას საკუთარ თავს წარმოაჩენს ყველა, საკუთარ მეზე ამაღლება რჩეულთა ხვედრიაო“—იტყოდა ჩვენი საყვარელი „მამა“. მის სახელს მოფერება სხვანაირი უნდოდა, რადგან იგი სიცოცხლეშივე იმსახურებდა ამას, მასში ფასეული ღირებულება ყველაზე მაღლა იდგა. ბუნებით კეთილმოსურნე და უზომოდ თავაზიანი, უდიდესი მოქართულე, თავმდაბალი, გაწონასწორებული.

„ჩვენი იაკოვლევიჩი“, „მამა“ ეს სამი სიტყვა ჩვენი თაობისა და უზარმაზარი სოფლის მეურნეობის კოლექტივისათვის დღესაც ამაღლებული გამოთქმაა.

უყვარდა ახალგაზრდა სპეციალისტების გვერდში ამოდგომა, მუდამ ცდილობდა მათი ზნეობრივად ჩამოყალიბებისათვის. არ უყვარდა საყვედურებისა და ბრძანებების გაცემა. უყვარდა სადღესასწაულო ღონისძიებებისა და დისკუსიების მოწყობა. იყო კარგი თამადა, მელექსე და თავისი გიტარით „ცირას“ სიმღერა.

სპეციალობით ზოოვეტერინარი იყო. 1937 წელს დაუწყია მუშაობა რაიმიწგანში, ღიმილნარევად იგონებდა იმ წლებს, როცა სოფლებში ნათხოვი ცხენით უბნის ზოოტექნიკოსი ხეთასა და თორსადღვაბის ტალახში ძლივს იკვლევდა გზას.

მთელი ხუთი ათეული წელი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის ბატონი ვალიკო დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნისა“ და „ოქტომბრის რევოლუციის“ ორდენებით, მრავალი მედლით, იყო წლების განმავლობაში საქართველოს კპ ხობის რაიკომის ბიუროს წევრი, რამდენიმე მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატი. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება, თუმცა, მისივე უბრალოების გამო, მის მკერდზე არასოდეს მინახავს მთავრობის ჯილდოები.

სამოცი წელი რომ შეუსრულდა, არც დაფიქრებულა, კანონის მორჩილი და დამფასებელი, ისე გავიდა პერსონალურ პენსიაზე. რაიონის იმდროინდელი ხელმძღვანელის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას თხოვნით, მისი ცოდნისა და გამოცდილების გამო იგი დაინიშნა მრჩეველად, იყო ახალგაზრდების დამრიგებელი.

„ჩვენო მამავ“, ისე როგორც სიცოცხლეში გვმოძღვრავდი, ისე დაგვმოძღვრეთ, რომ თქვენსავით ლამაზად განვლოთ დარჩენილი წუთისოფელი...

ძვირფასო ვლადიმერ, საიუბილეო თარიღი 100 წელი გისრულდებათ, გილოცავთ, იძინეთ მშვიდად, გვჯერა, შენს მიერ ღირსეულად განვლილი ცხოვრებით, სამუდამო სასუფეველში იქნებით.

**ვერა ქირია.**

# სუსხიან საღამოს სიყვარული ათბობდა...

### „არის სიცოცხლე სიკვდილში და უკვდავებაც არის!“

თებერვლის სუსხი... ღრუბლებს თავდაღწეული მეწამული მზე... თითქოს მზერას მაყოლებენ ქვაზე ამოკვეთილი ნაცნობი თუ უცნობი სახეები... ირგვლივ მდუმარებას, სიმშვიდეს დაუსადგურებია. საფლავებს შორის ვიწრო ბილიკებზე გზას ძლივს ვიკლევ. დრო და დრო ვჩერდები, მინდა ყველას მოვეფერო, ვუთხრა, რომ ისინი „გულმა გაიხსენა, თვალმა კი არა“, რომ დღესაც ისევე მიყვარს ისინი, როგორც მაშინ... ახლა უფრო მჭირდება მათი სითბო, თუნდაც ღიმილიანი სალამი. აუ, რამდენი არიან, ვერ ჩამოვთვლი, მეშინია ვინმეს გული არ ვატკინო...

სუროს ფოთლებიდან გულყვითელა ჩიტი ჩამოფრინდა, თითქოს გზას მიკვლევსო, საფლავიდან საფლავზე სკუპ—სკუპით გადადის. მშობლებივით საყვარელი ადამიანების საფლავებისკენ ნაცნობ ბილიკს მივუყვები. აქ დღეს ხალხმრავლობაა, თითქმის ყველა ასაკის ადამიანები შეკრებილან.

ვალიკო კილასონია და კატუშა წურწუმია სურათებიდანაც ისევე მშვიდად იმზირებიან, როგორც იცხოვრეს. ბატონი ვალიკო დღეს იუბილარია, მისმა პატიოსნებით სავსე ცხოვრების გზამ საუკუნეს გაუძლო, დღეს იგი 100 წლის გახდებოდა. ყველა ამბობდა, ხობის სინამდვილეში იშვიათობაა, მიცვალებულს 100 წლის იუბილეს ასეთნაირად უხდიდნენო. მე კი ნამდვილად არ გამკვირვებია, რადგან მან შვილებს სიცოცხლეშივე ჩაუნერგა წინაპართა პატივისცემა, მათდამი მოწიწება, დიდი სიყვარული და ერთგულება...

ასაკს რა მნიშვნელობა აქვს! სიყვარული არ ბერდება. ამ დღეს სიჩუმე უხდებოდა, არადა ხმამაღლა მინდოდა მოვფერებოდი და მეთქვა, მიყვარხართ ვალიკო ბიძია, ისევ ისევე მათბობს თქვენი ამბორი და დაძარღვული ხელების სითბო. მამაჩემი ხშირად იხსენებს თქვენს ადამიანურ თვისებებს, სიკეთეს. ძალიან მაკლიხართ, მენატრებით. მეამაყება, რომ შვილების სიყვარულს მინაწილებდით.

იყო უამრავი სანთელი, ყვავილი, შესანდობარი და ტკბილი მოგონება. მამა კირიონმა მიცვალებულთა მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. ასეთი იუბილე იშვიათი გამონაკლისია, თუმც მისი ცხოვრების წესიც ხომ იშვიათობა იყო...

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე პატიოსნება და საზოგადოებაში „დაბანდებული“ სიყვარულია. სწორედ სიყვარული ათბობდა მის ცადაღვლენილ სულს და აქ დარჩენილთა გულებს. ალბათ ესეც უკვდავებაა.

...კვლავ გულყვითელა ჩიტი ამედევნა, მანქანამდე მიმაცილა და აფრინდა. ალბათ ბუდეს დაუბრუნდა:

„ჩვენ წავალთ, ვარსკვლავებს გავცდებით,
თუმც წასვლა ძალიან ძნელია,—
მე მელის,
შენ გელის,
მას ელის
დიდი გზა... ღმერთები გველიან!“ — გამახსენდა სულმნათი პოეტი.

...სუსხიან საღამოს სიყვარული ათბობდა.

**მერი ლაგვილავა**

სხოვნა

# წინაპართაგან წავიდა ყველა...



კიდევ ერთი ღირსეული მუშაკი დააკლდა ქართველ პედაგოგთა რიგებს—მხცოვანი ზინა ჩიჩუა, მრავალი თაობის აღმზრდელი, მასწავლებელთა მასწავლებელი. მან ნახევარ საუკენეზე მეტხანს ატარა პედაგოგის უმწიკვლო სახელი, დაუღალავად ემსახურა საყვარელ საქმეს და ვალმოხდილი, პირნათელი წავიდა.

ზინა ჩიჩუა დაიბადა 1919 წელს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში, 1943 წლიდან მუშაობა დაიწყო ახალი ხიბულის რვაწლიან სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, 1944-1945 წლებში იყო ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. 1947 წლიდან გადაყვანილიქნა ზუბის რვაწლიანი სკოლის დირექტორად, 1948–1951 წლებში იყო ისტორია კონსტიტუციის მასწავლებელი და სასწავლო ნაწილის გამგე, 1965 წლიდან ზუბის რვაწლიანი სკოლის საშუალო სკოლად გადაკეთების შემდეგ 1982 წლამდე იყო ისტორიის მასწავლებელი და იშვიათი ენერგიით, გულისხმიერებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ზინა ჩიჩუა იმ გამორჩეულ პედაგოგთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა თითოეული თვისება აღსაზრდელთათვის მისაბაძი მაგალითია, მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასა და უსაზღვრო დედაშვილურ სიყვარულთან ერთად მასში იყო იშვიათი ხიბლი ქართველი ქალისა—განსაკუთრებული გარეგნობა, არისტოკრატიზმი.

ზუბის საჯარო სკოლის მხცოვანი პედაგოგებიდან ის უკანასკნელი აღმოჩნდა მათ შორის, ვინც საკუთარ მხრებზე გადაიტანა ეპოქის ჭირსახდელი, XX საუკუნის ურთულესი მოვლენები: მეორე მსოფლიო ომი, ომის შემდგომი წლები, საბჭოთა პერიოდი. პედაგოგის იშვიათი ალღოს წყალობით მან უამრავი თაობა აღზარდა სამშობლოს სიყვარულით, ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებით, მოწიწებითა და მადლიერებით.

სამწუხაროდ, იმ ადამიანებიდან, რომლებიც გასული საუკუნის ცოცხალი მატიანეები იყვნენ, თითქმის აღარ არიან. დიდი გალაკტიონის სიტყვებით: „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც ჩვეული სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდა ყოფილ მოსწავლეებს, თითოეული მათგანი ეამაყებოდა, ყველას კითხულობდა, დედობრივი მზრუნველობით ეფერებოდა.

მან ღირსეულად იცხოვრა, საზოგადოებაში დატოვა უსაზღვრო მადლიერება, დიდებული ადამიანის კვალი ნათელი.

**ზუბის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი**

# ჟუნა მამფორია—წულაია



სიკვდილის ცელმა კიდევ ერთი, ბევრისთვის საყვარელი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ჟუნა მამფორია—ღირსეული დედა, მეუღლე, ბებია, პედაგოგი, არაჩვეულებრივი დიასახლისი, ახლობელთათვის საიმედო, მოსიყვარულე, დღედაღამ მოფუსფუსე ქალბატონი იყო.

ათი წელი ერთგულად, თავდადებულად, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით იმოღვაწა ქარიატის საჯარო სკოლაში—დაწყებითი კლასების პედაგოგად, შესაშური ტაქტიკით, სითბოთი აღსავსე იყო თითოეულ მოსწავლესთან, კოლეგებთან მისი დამოკიდებულება. იყო შემოქმედი, ენერგიული. უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდა ჭკუით, გონებით რჩეულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა, მათგან დიდ სიყვარულს გრძნობდა, რაც ულევ ძალას, ენერგიას აძლევდა.

ჟუნა მამაფორია იყო იშვიათი თვისებებით შემკული ადამიანი—შეეძლო გულში წყენა ჩაეკლა, უთქმელობა, მოთმინება და სულგრძელობა ამშვენებდა, ერიდებოდა სხვების გულისტკენას, გულთან ახლოს მიჰქონდა სხვისი გასაჭირი...

ერთი დღე არ უცხოვრია დასვენებულად. თავისი თავისთვის, თითქოს საკუთარი „მე“ დავიწყებული ჰქონდა. მისი საფიქრალი, უპირველესი საზრუნავი საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა იყო.

მეუღლესთან, აკაკი წულაისთან, ერთად შეჰხაროდა ერთადერთ ძეს, ყველასათვის საყვარელ გიულის, რომელიც ბედისწერამ ადრე წაართვა, ულმობელმა სიკვდილმა წარსტაცა უსაყვარლესი შვილი, მისთვის ცა ჩამოიქცა, არსებობამ აზრი დაკარგა... „იქ ვიყო, სადაც ჩემი გიუკაა“—სულადუღებული, გულდათუთქული ამბობდა ერთადერთი შვილის დამკარგავი თავგადაკრული დედა.

ამ ტკივილიან წუთისოფელში შვილიშვილების—სესილიასა და ლევანის სიცოცხლით და წარმატებებით ხარობდა, იყო საოცრად მზრუნველი, მოსუყვარულე ბებია, ცდილობდა კერა არ ჩაექრო, მათთვის ობლობის მძიმე ტვირთი შეემსუბუქებინა, ქვრივად დარჩენილი რძლისთვის იმედი და ნუგეში ყოფილიყო...

მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, დიდი ღირსება და პატივია, დაიმსახურო გულწრფელი სიყვარული ძმისშვილების, დისშვილებისა და მულიშვილებისა. ჟუნა მამფორიამ ეს სამაგალითოდ შეძლო, რაც მის დიდბუნევნობაზე მეტყველებს. ამიტომაც მათი თვალებიდან ალალად გადმოღვრილი ცრემლი მის სულს იმ ქვეყნად გზას გაუნათებს. მის საფლავს არ მოაკლდება ზრუნვა და მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

წუთისოფლისაგან საოცრად დაღლილ—დაქანცულმა, ნაჯაფარმა, უსაშველოდ სულატკიებულმა მისმა სხეულმა დაისვენა...

მაღალ ღმერთს შევხთოვთ, მართალთა შორის დაგამკვიდროს, ნათელში ამყოფოს შენი მაღალი სული!

მშვიდობით, არ დაგივიწყებთ, გვემახსოვრები!

**ქარიატის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.**

ზუბის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს მაია მებონიას დედის, ყოფილი პედაგოგის

**ზინა ჩიჩუა—მებონიას**

გარდაცვალების გამო.

ძველი ხიბულის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს იზოლდა ქვარაიას მამის, სკოლის ყოფილი დირექტორის

**ვალერიან ქვარაიას**

გარდაცვალების გამო.

## მკითხველთა შემოქმედება

ნინელი ხუხია

### მასწავლებელი

მ–ასწავლებელი მადლი უფლისა,
ა–ქვს სიყვარული სხვისი შვილისა
ს–აოცარია მოძღვარი ღვთისა,
წ–ვეული არის ზეციურ დღისა,
ა–ქვს სიყვარული ადამის ძისა,
ვ–ალმოხდილია თავის ქვეყნისა,
ლ–ოცვა-კურთხევა აქვს სიცოცხლისა,
ე–რის ბანძია მომავალისა.
ბ–ედი ერისა ხვალინდელ დღისა,
ე–რის ღირსება ჩვენის ქვეყნისა.
ლ–ამაზი, ლაღი, შუქი ნათლისა.
ი–მედი ჩვენი კეთილ მწყემსისა.

* * *

გვანცა ცირდავა

ეი, შენ გმირო ხმლიანო,
ჰეი, შენ ქართლის ნიავო,
შენ, ქალო ნაწნავიანო,
ვენახო, შე მადლიანო.

შენ, ყანავ მოსავლიანო,
ფანდურო სიმებიანო,
შენ, გამრჯე ადამიანო,
ქვეყნის მშვენება ბქვიანო.

### საქართველო

ჭალებო და შავო ზღვაო,
უსასრულო ცა და მზეო,
მარადმწვანე ფიჭვო, წიწვო–
საახალწლო ნაძვის ხეო.
შავთვალება თეთრო ქალო–
ფაქიზო და ეგრე ნაზო
გაფურჩქნულო ვით ყვავილი
ფერიავ და ანგელოზო.
შენ, ვაჟკაცო ხმალიანო.
შენ, რაინდო დადიანო,
საქართველოვ დარდიანო,
შემოდგომავ მადლიანო.
ჩიტუნებო, ბეღურებო,
ატმის ხეო, ფიჭვის ტყეო
ყვავილებო, მიწა–წყლებო
ბნელო ღამევ, მოკლე დღეო.
ფანდურო და სალამურო,
ხინკალო და ხაჭაპურო,
მოსავალო დანამულო,
ქართლის ქალო განაზულო.
გლეხო კაცო თოხიანო,
მონადირევ თოფიანო,
გამრჯე კაცო ოფლიანო.
მიწავ, კვლავაც თოვლიანო.
არ დავუშვებთ ქართველები,
რამე გვავნო ავო მტერო–
გადმოგვხედე, დაგვანათლე
გამარჯვება, საქართველოვ!

* * *

გვანცა კიკალეიშვილი

რა დამრჩენია უნაპირო
სამყაროში გარდა ლოცვისა,
სანთლის ლიცლიცი დამიბრუნებს
საოცარ რწმენას
და დავეწევი თეთრი ხაზით
ლამაზ ზმანებას
და ვეღარავინ ვერ წამართმევს
შენს მონატრებას.
ო, ეს სიმშვიდე ისევ ჩემთან
მეფურად მეფობს,
ო, ეს ლამაზი სინანული
ჩემთან არს ისევ
და დავიწყება მე ხომ შენი
არ შემიძლია
და სიმარტოვის ორეული
ქარივით მომსდევს.
რა დამრჩენია უნაპირო
სამყაროში გარდა ცრემლისა,
ჩუმი ცრემლები დასტირიან
შენს მონატრებას,
სანთლის ლიცლიცი
დამიბრუნებს საოცარ რწმენას
და დავეწევი თეთრი ხაზით
ლამაზ ზმანებას.

* * *

ჩუმად მოპარული წვიმის
წვეთები
სარკმელზე ეცემა ფიქრად,
ასე მგონია ჩემი სიზმრები
წვიმას მოჰყვება ცისფერი
ციდან.
და გარინდული წუთები
თვლემენ
და გაყინული წვიმის შხაპუნით
ვხედავ თვალები კვლავ
მისველდება.
ჩუმად მოპარულ შხაპუნა
წვიმის
წვეთები ფიქრად ეცემა მინას,
ასე მგონია, ჩემი სიზმრები
წვიმას მოჰყვება ცისფერი
ციდან.

## ქველმოქმედება

# სადაც სათნოება მეფობს...

დამეთანხმებით, რომ უმწეო ადამიანებისთვის ხელის გაწვდენა, მათი ფეხზე წამოყენება, გულის გადაშლა და დახმარება უაღრესად კეთილშობილური საქმეა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოხუცთა, მარტოხელათა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანებისათვის, უმწეოთა და მიუსაფართათვის 2006 წლის მაისიდან უფასო სასადილო ფუნქციონირებს, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამჟამად სასადილოში 100 ბენეფიციარი ყოველ დღე სადილობს. აქ მომუშავე ადამიანები მათი ცხოვრებით



ვცხოვრობთ, ვეფერებით, ყურადღებით ვუსმენთ და თანავუგრძნობთ, ვცდილობთ მათი ცხოვრების გახანგრძლივებასა და გახალისებაზე.

მენიუში ყოველდღე სხვადასხვა კვების პროდუქტი გვაქვს...

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ იმ ადამიანების ღვაწლი, ვინც ამ ადამიანებს დახმარების ხელს უწვდის. მათ შორის გვინდა გამოვყოთ შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალის" კეთილშობილური ქველმოქმედება, რომლებმაც წელს, საახალწლოდ ერთი კვირის მანძილზე უმწეოთა სასადილო დააფინანსა. მადლობას ვუხდით შ.პ.ს „შავი ზღვის" ტერმინალის გენერალურ დირექტორს ბატონ კარიმ გულიევსა და მათ თანამშრომლებს. კმაყოფილებასა და მადლიერებას ვერც ჩვენი ბენეფიციარები მალავენ:

***ლენა გერგაია:*** წელს, საახალწლოდ შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალმა" უმწეოთა სასადილო ერთი კვირის მანძილზე დააფინანსა. გამორჩეულ კერძებთან ერთად ტკბილეულითაც გაგვიმასპინძლდნენ. დიდი მადლობა მათ ასეთი ყურადღებისათვის. ღმერთმა დაგლოცოთ!

***პოლმირა აბურჯანია:*** დიდი მადლობა „შავი ზღვის ტერმინალს" ასეთი ქველმოქმედებისათვის. განსაკუთრებით მინდა მოვეფერო და დიდი მადლობა ვუთხრა სასადილოში მომუშავე ადამიანებს იმ ყურადღებისათვის, რასაც ჩვენს მიმართ იჩენენ.

***ლალი ბებია:*** საახალწლოდ სადილი ყველას ძალიან მოგვეწონა. უკეთესი არც შეიძლებოდა. აქ ყოველთვის გემრიელ კერძებს ამზადებენ. გავიხარეთ და ღმერთმა ყველა მათგანი გაახაროს, ვინც ჩვენთვის ზრუნავს.

***ლენა ქანდარია:*** მადლობა ყველას, ვინც ჩვენი ცხოვრების გალამაზებას ცდილობს. საახალწლო საჩუქრით–განსაკუთრებული სადილით, კმაყოფილები ვართ. ასევე მადლიერები ვართ აქ მომუშავე ადამიანებით, რომლებიც სისუფთავესთან ერთად გემრიელ კერძებს გვიმზადებენ. მყუდრო გარემოს გვიქმნიან. მადლობა „შავი ზღვის ტერმინალს" დაფინანსებისათვის.

***აზა კვირკვაია,***
***ხობის მიუსაფართა და უმწეოთა სასადილოს პასუხისმგებელი პირი.***

## გვწერენ

# მადლობა ექიმებს

ადამიანის ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე, მაგრამ სულ სხვაა, როცა იგი ადამიანის ჯანმრთელობას ეხება...

მექანიზატორი კაცი ვარ, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები მექანიზაციას დავუთმე. ჯანმრთელობას არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ დროს თავისი მიაქვს, ამასწინათ მწვავე ტკივილების გამო ექიმების პაციენტი და ხშირი სტუმარი გავხდი. რაკი ჩემი სოფელი ძველი ხიბულა ნარაზენს ესაზღვრება, პირველადი დახმარება ნარაზენის უბნის ახალგაზრდა ექიმმა გოდერძი თოდუამ, შემდეგ სოფელ ხიბულაში ირმა კვარაცხელიამ გამიწიეს. ექიმების მადონა შონიას, ლია კვარაცხელიას, ელისო მისაბიშვილის, ექიმ–რენდგენოლოგ კოტე ნასარაიას, რენდგენოლოგ ვაჟა შელიას სწორი დიაგნოზითა და მკურნალობით ფეხზე დავდექი და დავრწმუნდი, რომ ზოგჯერ სიტყვა წამალზე უკეთ კურნავს ავადმყოფს.

ამ ადამიანებმა არც მკურნალობა და არც თბილი სიტყვები არ დამაკლეს, მეც მინდა მოვეფერო თითოეულ მათგანს, დიდი მადლობა ვუთხრა მაღალი პროფესიონალიზმისა და დიდი გულისხმიერებისათვის. სიუხვე, ბედნიერება და სიხარული არ მოკლებოდეს მათ ოჯახებს.

***ომარ ქავთარაძე,***
***სოფელ ძველი ხიბულის მცხოვრები.***

## ფერმერი

# თებერვალი დადგა...

### როდის დავრგოთ ვაზი?

საქართველოში ვაზი თითქმის ყველგან ხარობს, განსაკუთრებულად კი კახეთში, ქართლში, მცხეთა–მთიანეთში, იმერეთსა და რაჭა–ლეჩხუმში. ვაზი 10-15 აპრილამდე უნდა დარგოთ. უმჯობესია ვაზის შემოდგომაზე დარგვა, თუმცა, დარგვა შეიძლება ზამთრის განმავლობაშიც, თბილ დღეებში,



გაუყინავ ნიადაგზე. ვაზის ნერგი ისე უნდა დარგოთ, რომ მყნობის ადგილი 2-3 სმ-ით იყოს დაშორებული ზედაპირისაგან; დარგვის შემდეგ ჭიგო შეუდგით და მორწყვით, პლანტაჟამდე (უნდა ჩატარდეს ვაზის დარგვამდე 3-5 თვით ადრე), ნიადაგის შესწავლის შემდეგ ნაკვეთში საჭიროების მიხედვით, შეიტანეთ მინერალური და ორგანული სასუქების სამი წლის დოზა (ერთი წლის დოზა: აზოტიანი 90-100 კგ/ჰა, ფოსფორიანი 80 კგ/ჰა და კალიუმიანი 80 კკ/ჰა მოქმედ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით).

### როგორ გავსხლათ ვაზი?

ვაზის გასხვლის საუკთესო დროა გაზაფხული. გასხვლის პირველ წელს ძლირ ვაზზე უნდა შეარჩიოთ ერთმანეთის პირისპირ გაწყობილი რქა, რომელიც შტამბის სიმაღლეზე უნდა გასხლათ და ვერტიკალურად აკრათ შპალერის პირველ მავთულზე. მეორე გასხვლისას ვაზზე შეარჩიეთ ორი რქა, რომელთაგან ქვედა ორ კვირტზე სამამულედ უნდა გასხლათ, ზედა–8-9 კვირტზე სანაყოფედ და სარზე რკალისებურად დაამაგროთ.

### როგორ გავსხლათ ბალი?

გასხვლა მხოლოდ ნულს ზემოთ ტემპერატურაზე შეიძლება. ფოთოლცვენიდან 20-25 დღის შემდეგ და გაზაფხულზე–კვირტების დაბერვამდე. გასხვლა ტოტების დამოკლებით და ტოტების გამოხშირვით ხდება. დამოკლებისას ტოტს ნახევარი ან მესამედი მოაჭრით. გამოხშირვისას კი ტოტი ძირში „რგოლზე" მოაჭერით. არსებობს ძლიერი, ზომიერი და სუსტი სხვლა. ძლიერი სხვლა ხელს უწყობს ძლიერ ზრდას, ხოლო ზომიერი სხვლა ზრდასთან ერთად სანაყოფე ტოტების წარმოქმნას და მოსავლიანობის გადიდებას.

* * *

გასხვლისას ერთწლიანი ტოტები კვირტებთან ახლოს დაამოკლეთ ისე, რომ ჭრილობა იწყებოდეს კვირტის ფუძესთან და მთავრდებოდეს მის წვეროსთან. ორწლიანი და უფრო ხნიერი ტოტი განტოტვის ადგილას გადაჭერით, ერთწლიანი ტოტის დამოკლებისას წვეროს კვირტი გარეთ, თავისუფალი ადგილისაკენ მიაქციეთ. ხის ღეროს მზე რომ უკეთ მიუდგეს, ტოტები ისე მოაჭერით, რომ ხეს ისინი ძირითადად ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ გაეზარდოს.

### როგორ დავრგოთ თხილი?

თხილის ნერგი 1-2 წლიანი უნდა იყოს; სწორი ზრდის, ძლიერი და კარგად დატოტვილი ფესვით; სიმაღლით–120-150 სმ, დიამეტრით–5-8 მმ. დარგვის წინ ნერგი კიდევ ერთხელ უნდა შევამოწმოთ და ფესვს დაზიანებული ან წაგრძელებული ადგილები შეუკვეცოთ. სასურველია, თუ



დარგვის წინ ფესვებს წუნწუხში ამოუვლებთ. ორმოში 1, 2 ან 3 ნერგი შეგიძლიათ დარგოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ნერგებს შორის მანძილი არ უნდა იყოს 10-15 სმ-ზე ნაკლები. ნერგს გარშემო ნიადაგი მოატკეპნეთ, მორწყეთ და გაუკეთეთ ჯამი. დარგული ნერგი უნდა გასხლათ 50 სმ სიმაღლეზე. ფესვის ყელიდან 5-6 კვირტის დატოვებით.

### როგორ ვებრძოლოთ კიტრის მავნებლებს?



კიტრის მავნებლების (ბაღჩის ბუგრი, თრიფსები, ფრთათეთრა) წინააღმდეგ, ვეგეტაციის დროს მეწარმეების გამოჩენისთანავე, აუცილებელია ერთკვირიანი ინტერვალით სხვადასხვა ინსექტიციდებით 2-3 წამლობის ჩატარება. მოსავლის აღებამდე 2-3 კვირით ადრე წამლობები უნდა შეწყდეს. სარეველების წინააღმდეგ აუცილებელია ჰერბიციდების გამოყენება თესვის დროს, აღმოცენებამდე, ან სანამ მცენარე 5 სმ სიმაღლის გახდება.

### როდის დავთესოთ კარტოფილი?

საქართველოში კარტოფილი თითქმის ყველგან მოჰყავთ. კარტოფილის თესვა გაზაფხულზე მაშინ დაიწყეთ, როცა ზედიზედ სამი დღე ნიადაგის ტემპერატურა +5-6 გრადუსი იქნება; დათესვის სიღრმე 5-6 სმ. უნდა იყოს; ერთ ჰექტარზე 3 ტონა დარგეთ, კარტოფილის ზედა განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა +16-17 გრადუსი, აქედან გამომდინარე საადრეო კარტოფილი დაბლობ ზონაში თებერვლის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე უნდა დათესოთ, მეორე ზონაში (500–800 მ. სიმაღლეზე) მარტის ბოლოდან აპრილის შუა რიცხვებამდე, მთაში (1000-1200 მ. სიმაღლეზე) აპრილის ბოლოდან მაისის შუა რიცხვებამდე. პირველად კარტოფილი ნიადაგის მეორე გაფხვიერებამდე, ფოთლების განვითარებისას უნდა მორწყათ, მეორედ–დაკოკრების დაწყების წინ, მესამედ–ყვავილობის პერიოდში.

### რომელი მცენარე რომელს უკეთ ეგუება?

ყველა მცენარე თავის გარშემო ქმნის ქიმიურ გარემოს, რომელიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს მეორე მცენარეზე. მაგალითად მიღებულია კვალში, ერთ რიგში პომიდვრის, შემდეგ პრასის, შემდეგ კამის და ბოლოს, ოხრახუშის დარგვა, მეორეში–სტაფილო, ხახვი, ისპანახი, პომიდორი. ლობიო ეგუება კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხალს, კიტრს, კარტოფილს, სიმინდს, პომიდორს, ხენდროს, ბადრიჯანს, გოგრას, საზამთროს, ნესვს, ლობიო ვერ იტანს ხახვსა და ნიორს, სიმინდი „მეგობრობს" ლობიოსთან, ბარდასთან, ყაბაყთან, კიტრთან, გოგრასა და კარტოფილთან; კომბოსტო ეგუება ხახვს, პრასს, კარტოფილს; ვერ ეგუება–ხენდროს, პომიდორს, სარის ლობიოს; კიტრი კარგად ხარობს ლობიოს, ბოლოკის, პაომიდვრის, კომბოსტოს, კამისა და ვარდის გვერდით; ვერ ხარობს–კარტოფილთან და სუნელებთან.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე"
დირექტორი
ნატო ლომაია
რედაქტორი
მანანა შულაია
ნომრის მორიგე
ნანი კილასონია
პასუხისმგებელი მდივანი
მერი ლაგვილავა

დამკაბადონებელი
ჯულიეტა ლატარია
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 8 (214) 2-21-13; 2-25-81;
855-119-900
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა
შპს „ხობის მოამბე"-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს.
გამომცემლობა „კოლორში".
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით